# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№136 (9816) 2024 წლის 27 ნოემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


შალვა პაპუაშვილი:

## ჩვენი ქართული ოცნებაა ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველო!



3

ვახტანგ გომელაური:

## ჩვენ ერთგულად ვემსახურებით ქვეყანას!



2

## კეზერაშვილის და ადეიშვილის სასჯელი ძალაში დარჩა!



11

დანილო დელა ვალე

## არავითარი ცენზურა, არავითარი გაყალბება, არავითარი თავდასხმა!



5

იოსებ არჩვაძე

## ტრამპის „მეორედ მოსვლა“



4

## ქართული ვაზი ათონის წმინდა მთაზე

7

ილჰამ ალიევი: ევროპარლამენტი და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა პოლიტიკური კორუფციის სიმბოლოდ იქცა...



12

## ტრანსგენდერ ჯარისკაცებს აშშ-ის ჯარიდან გააძევებენ?



8



## ძირს პატრიარქატი, გაუმარჯოს მეძავეებს!



10

## ემიგრანტთა თეატრმა „ათინათი“ გრანპრი მოიპოვა!

## 2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამებიდან ამოიღეს ქართული ლიტერატურის შედევრები!

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

11

## მოერიდეთ „ვენერას რისხვას“!

მამაკაცის ჯანმრთელობის პრობლემების მიმოხილვის შემდეგ, გარკვეულწილად ლოგიკური იქნება ვისაუბროთ იმ ინფექციურ დაავადებებზე, რომლებიც უროლოგიურ პრაქტიკაში გვხვდება.

რუბრიკას უძღვება პროფესორი არჩილ ჩხოტუა



6-7

# ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები იცვლებიან

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, ახალ მთავრობაში, – რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს, – სამი მინისტრი იცვლება.**

**საგარეო საქმეთა მინისტრი:**



მაკა ბოჭორიშვილი ჩაანაცვლებს ილია დარჩიაშვილს, რომელიც პოსტს 2022 წლის 4 აპრილიდან იკავებდა.

ბოჭორიშვილი 2020-24 წლების (მე-10 მოწვევის) პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

**იუსტიციის მინისტრი:**

ანრი ოხანაშვილი ჩაანაცვლებს რატი ბრეგაძეს, რომელიც 2021 წლის 1 აპრილიდან იკავებდა პოსტს.



ოხანაშვილი ბოლო მოწვევის პარლამენტში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

**სოფლის მეურნეობის მინისტრი:**

დავით სონღულაშვილი ჩაანაცვლებს ოთარ შამუგიას, რომელიც პოსტს 2022 წლის 9 თებერვლიდან იკავებდა.



სონღულაშვილი 2020-24 წლების პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

პრემიერმა ირაკლი კობახიძემ მადლობა გადაუხადა ყოფილ მინისტრებს და განაცხადა, რომ სამივე მათგანი მაღალ თანამდებობებზე მუშაობას განაგრძობს.

# პრეზიდენტობის კანდიდატი გარანტირებულად იქნება ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ სამშობლოს და ხალხს მოემსახურება!

**– განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ.**

„(სალომე ზურაბიშვილი) უცხოეთში უნებართვო ვიზიტებს ახორციელებდა, საქართველოს პარლამენტმა გადაიხია თავზე კონსტიტუციაო. რაღაზე ველაპარაკოთ?! (პრეზიდენტი) მინიმუმ ასეთი არ უნდა იყოს. პრეზიდენტობის კანდიდატი გარანტირებულად იქნება ადამიანი, რომელზეც ყველა იქნება დარწმუნებული, რომ ის მხოლოდ საკუთარ სამშობლოს ემსახურება. დანარჩენი – ადამიანური თვისებები, კომპეტენცია და ბევრი სხვაა, მაგრამ მთავარია, იყოს ქართველი და ეს არ არის მხოლოდ გენეტიკურ ნაწილზე საუბარი. ქართველი უნდა იყოს და ემსახურებოდეს საქართველოს“, – აღნიშნა მდინარაძემ.

**ამერიკული მოდელით პრეზიდენტის არჩევნები 14 დეკემბერს ჩატარდება, ინაუგურაცია კი – 29 დეკემბერს.**



## ვახტანგ გომელაური:

# ჩვენ ერთგულად ვემსახურებით ქვეყანას!

**შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ფორმატში მოხსენებით წარდგენისას გუშინ სამინისტროს ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა.**

**ვახტანგ გომელაურის თქმით, წლების განმავლობაში უწყების მიერ მიღწეული წარმატებები სწორედ პოლიციელების შრომის შედეგია.**

**– შინაგან საქმეთა სამინისტროში მნიშვნელოვნად განვითარდა და განახლდა საპოლიციო ინფრასტრუქტურა. ბოლო წლებში საქართველოს მასშტაბით პოლიციის ათობით ახალი ადმინისტრაციული შენობა აშენდა. გაგრძელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოპარკის განახლება, სხვადასხვა დანაყოფის გადაიარაღება და აღჭურვილობის განახლება, – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ფორმატში მოხსენებით წარდგენისას განაცხადა.**

ვახტანგ გომელაურის თქმით, მომავალშიც უწყვეტად გაგრძელდება პოლიციის შენობების განახლება-რეაბილიტაცია და ახალი ობიექტების მშენებლობა.

საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობაზე საუბრისას გომელაურმა აღნიშნა, რომ სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოება.

**„მინდა, ვისაუბრო საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოება. დღეის მდგომარეობით, პოლიციის 19 ატაშეს მიერ იფარება 38 სახელმწიფო და ორი საერთაშორისო ორგანიზაცია – ევროპოლი და ნატო“.**

**ბოლო წლებში თანამედროვე სტანდარტების სახანძრო-სამაშველო ობიექტები აშენდა სხვადასხვა რეგიონში, სახანძრო-სამაშველო სამსახური აღიჭურვა უახლესი სპეცავტოტექნიკით, სამსახურს დაემატა სხვადასხვა დანიშნულებისა და მოდიფიკაციის სატრანსპორტო საშუალებები.**

**საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განვითარების მიზნით განხორციელდა და მიმდინარეობს არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, ასევე გრძელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.**

**საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საწყლოსაზღვაო დანაყოფს დაემატა სხვადასხვა მოდიფიკაციის 31 ერთეული მცურავი საშუალება. სახანძრო-სამაშველო ავტომობილებს შორის გამორჩეულია 30 „ივეკო მაგირუსის“ სპეცმანქანა, რომელიც გერმანულმა მწარმოებელმა კომპანიამ მანევრულობით, მაღალი გამავლობითა და მობილურობით მოარგო ქართული მხარის მიერ მოთხოვნილ, საქართველოს გზების შესაბამის პირობებს. ასევე, გამორჩეულია, „მერსედესის“ მარკის სახანძრო სამაშველო კომბინირებული ქრობის მანქანა. ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების მთავარი სამმართველო,** – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატის ვახტანგ გომელაურის განცხადებით, შსს-ს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საქართველოს საზღვრის ეფექტიანი დაცვა წარმოადგენს.

**„შემუშავდა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რისკის ანალიზის ინტეგრირებული მოდელი“, რომელიც უმთავრესად დაეფუძნა ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს გამოცდილებას.**

**ბოლო წლებში აშენებული 27 ახალი სასაზღვრო სექტორი სრულად აღიჭურვა საზღვრის დაცვის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით. განხორციელდა სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს გადაიარაღება. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სანაპირო დაცვის ფლოტის გაძლიერების მიზნით“.**

როგორც ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, დანაშაულის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, მათ შორის, საერთაშორისო აეროპორტებში დაინერგა სახის ამომცნობი ანალიტიკური სისტემა, რამაც შესაძლებელი გახადა ძებნილი, გაძევებული, აკრძალვაზე მყოფი პირებისა და, ასევე, სხვადასხვა სახის სამართალდარღვევის გამოვლენა.

**„რიგ სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ცვლილებები. უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ გაძლიერდება მიგრაციული ნაკადების მართვა და რეადმისიის ხელშეკრულების აღსრულება. უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტს წარედგინება კანონპროექტი, რომლის მიზანია თავშესაფრის სისტემის გაჯანსაღება. ასევე, დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით შესაძლებლობების გაზრდას“,** – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა და უკვე სარგებლობს სამი ახალი შვეულმფრენით.

როგორც ვახტანგ გომელაურმა აღნიშნა, შვეულმფრენები მრავალფუნქციურია და ისინი სრულადაა დაკომპლექტებული ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით.

**„გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე შეისყიდა და სარგებლობს „H 145“-ის სამი ბორტით. შვეულმფრენები არის მრავალფუნქციური, შეუძლია პოლიციური, სატრანსპორტო, სამძებრო და სამაშველო ფუნქციების შესრულება. ის სრულადაა დაკომპლექტებული ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით“.**

✦ ✦ ✦

**უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური შესაძლებლობების განვითარება.**

**სამინისტრო აქტიურად მუშაობს დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დანაშაულის გამოძიების ხარისხს. ასევე, მიმდინარე წელს დამტკიცდება კანონპროექტი დნმ-ის ბაზის შექმნის შესახებ, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო.**

**მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორიული ტექნიკური საშუალებების განახლება და ცალკეული საექსპერტო მიმართულებების აკრედიტაციის სფეროს გაფართოება.**

**26.XI.2024 წ.**

# ქართველმა ხალხმა აირჩია სუვერენიტეტი

**„დღევანდელი დღე შედგა, გილოცავთ! მისალოცი ამბავია არა იმიტომ, რომ ტექნიკურად ეს საკითხი გაიმართა და უფლებამოსილება ცნეს, არამედ იმიტომ, რომ ყველა ვთანხმდებით – ეს იყო ეგზისტენციალური მოვლენა, როდესაც საქართველოს აშკარა არჩევანის გაკეთება უწევდა ორ მოცემულობას შორის. ან უნდა ვყოფილიყავით შპს საქართველო, ინდმეწარმე საქართველო, ენჯეო საქართველო ან შეგვენარჩუნებინა სუვერენიტეტი. ან უნდა ვყოფილიყავით სრულ პოლიტიკურ და ფინანსურ დოტაციაზე, რაზე წამსვლელებიც იყვნენ რადიკალები, რეალურად დაგვსვამდნენ სრულ დოტაციაზე და ამას წინაპირობები მოჰყვებოდა – ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მოცემულობაში, ნებისმიერი პირობა უნდა შეგვესრულებინა, ან იყო მეორე ამოცანა – ის, რაც დღეს ვნახეთ.პარლამენტში მიწვეული იყვნენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და ქართული ეკლესიის წარმომადგენლები. ძალიან კარგი განცხადება გააკეთა შალვა პაპუაშვილმა – რატომ არ იყვნენ ელჩები პირველ სხდომაზე. პარლამენტი, პირველ რიგში, ქართველი ხალხის საკუთრებაა. ქართველმა ხალხმა ხელისუფლება 4 წლით ანდო კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას და ამ ძალისგან ხალხი ითხოვს კონკრეტულ ნაბიჯებს, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის დაზღვევას და ა.შ. აქედან გამომდინარე, რაც ქართველი ხალხისთვის არის ავთენტური, ზუსტად ის იყო პარლამენტში წარმოდგენილი – ჩვენი სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლები და მოხდა პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა. ახლა დაიწყება მთავრობის ფორმირება“.**

**ზურაბ ქადაგიძე**
**25.XI.2024**

## ირაკლი ზარქუა:

# „მადამ ფრანცუჟანკა“, რით ვერ გაიგეთ, ქართველი ხალხი მხარს არ გიჭერთ!

**ქალბატონო სალომე, რით ვერ გაიგეთ, ქართველი ხალხი მხარს არ გიჭერთ, თქვენ არ ხართ ჩვენი ხალხის ინტერესების გამხმოვანებელი, – ამის შესახებ პარლამენტის დიასპორის კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ზარქუამ საქართველოს პირველ არხს განუცხადა.**



მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილს უკან, პარიზის მიმართულებით ბილეთის აღება მოუწევს.

„მადამ მავნებელი ფიქრობს, რომ პოლიტიკაში თავად ახალია. პოლიტიკაში ომამდეც იყო და მის შემდეგაც, მაგრამ ქალბატონო სალომე, რით ვერ გაიგეთ, ქართველი ხალხი მხარს არ გიჭერთ? 2018 წელს არჩევნები რომ მოეგო, ამის გამო მისი ბილბორდები ჩამოვხსენით და „ქართული ოცნების“ ბილბორდები დავკიდეთ და არჩევნები ამით მოვიგეთ. ვწუხვარ, მაგრამ ამის შეხსენება მიწევს: თქვენ არ ხართ ქართველი ხალხის ინტერესების გამხმოვანებელი. ასე რომ, „მადამ ფრანცუჟანკა“, მოგიწევთ, უკან ბილეთის აღება, პარიზის მიმართულებით“...



**35 წლის წინ საქართველომ საბჭოთა კავშირისგან გამოყოფის პროცესი დაიწყო. მომაკვდავი იმპერიისგან განთავისუფლების გზა თხუთმეტივე რესპუბლიკისთვის განსხვავებული აღმოჩნდა. ზოგი პირველი ჟამის მუშაკი აღმოჩნდა, ზოგი კი მეთერთმეტის. ამ ურთულეს კატაკლიზმს ზოგი უვნებლად დაუძვრა, ზოგი ნანგრევებმა მოიყოლა, ზოგმა კი ზომაზე მეტი ფასი გადაიხადა. საქართველოს თავისუფლების მოპოვების გზა ძვირად დაუჯდა. სწორედ ამიტომ სჭირდება ჩვენს მონაპოვარს განსაკუთრებული მოვლა და გაფრთხილება, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა შალვა პაპუაშვილმა მე-11 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე.**

# შალვა პაპუაშვილი:
# ჩვენი ქართული ოცნებაა ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველო!

როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, წელს ჩვენ ვიზეიმეთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად გამოცხადებული დამოუკიდებლობის 33 წლისთავი. ამ ისტორიულ დღეს, რეფერენდუმზე ქართველმა ხალხმა თავისი უზენაესი ნება განაცხადა, ყოფილიყო დამოუკიდებელი, სუვერენული და თავისუფალი.

**„რეფერენდუმიდან ძალიან მალე ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, ჩვენი სუვერენიტეტი და შევუდექით დამოუკიდებლობის განხორციელების რთულ და ეკლიან გზას. გოლგოთისკენ მიმავალ ამ გზაზე არაერთხელ შევფერხდით, ჩავიმუხლეთ, სიმწარე ვიწვნიეთ, თუმცა ავად თუ კარგად, დღევანდელ დღემდე მოვაღწიეთ.**

**26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიც დეფაქტო რეფერენდუმის სახით შედგა. ქართველი ხალხი დადგა ცალსახა არჩევანის წინაშე, როგორი მომავლისთვის დაეჭირა მხარი. აერჩია თავქარიანობა თუ აერჩია გონიერება, აერჩია ინფანტილიზმი თუ აერჩია სიმწიფე, აერჩია უცხო იდენტობა თუ აერჩია ტრადიციული ფასეულობები, აერჩია ქვეშევრდომობა თუ აერჩია დამოუკიდებლობა.**

**ხალხმა თქვა თავისი სიტყვა და აირჩია „ქართული ოცნება“. ხალხმა მოგვანიჭა თავისი უზენაესი ლეგიტიმაცია და სწორედ ამიტომ მე ვდგავარ აქ, თქვენს წინაშე, აღჭურვილი სიმართლით და საკუთარი მისიის სრული გაცნობიერებით, ვემსახურო სამშობლოს, ჩვენს ქვეყანას, ერთიან საქართველოს.**

**მე ვდგავარ აქ, რათა თქვენთან ერთად ვემსახურო ჩვენს ეროვნულ ინტერესს. ჩვენი ეროვნული ინტერესი კი მარტივია – ჩვენ უნდა გავამთლიანოთ ჩვენი სამშობლო და განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა. კეთილდღეობა უნდა შევიდეს ყველა ოჯახში. ეს არის ჩვენი ქართული ოცნება: ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველო“!**

**მინდა თქვენს წინაშე პირობა დავდო: საქართველოს პარლამენტი მოუსმენს ყველას, მაგრამ იმოქმედებს მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.**

**„ჩვენი გადარჩენის ფორმულა ჩვენს თვითმყოფადობასა და სახელმწიფოებრიობაშია. ამიტომაც იყო, რომ მაშინაც კი, როდესაც უცხო მმართველობას გვახვევდნენ თავს, ქართველები ყოველთვის პოულობდნენ გზას, სივრცეებს, სფეროებს დამოუკიდებლობის მცირე კუნძულების შესაქმნელად. ეძებდნენ და პოულობდნენ იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს სამიათასწლოვან გენეტიკურ მეხსიერებაში გვაქვს ის, რასაც ილია ჭავჭავაძემ 160 წლის წინ ჩვენი დამოუკიდებლობის მთავარი ფორმულის სახე მისცა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.**

**ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს, იმისთვის რომ დავიცვათ ჩვენი სამი მთავარი საუნჯე – ჩვენი მამული, ჩვენი ენა და ჩვენი სარწმუნოება.**

**სამი წლის წინ, როდესაც საქართველოს პარლამენტმა თავმჯდომარედ ამირჩია, მე დავდე პირობა, რომ, თქვენთან ერთად ვიდგებოდი საპარლამენტო სუვერენიტეტის სადარაჯოზე. მე-10 მოწვევის პარლამენტმა ეს განსაკუთრებით შეძლო.**

**ახლაც, მინდა თქვენს წინაშე და თქვენთან ერთად დავდო პირობა, რომ საქართველოს პარლამენტი მოუსმენს ყველას, მაგრამ იმოქმედებს მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.**

**ეს იქნება ჩვენი გეგმაც და ჩვენი მიზანიც. ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს მფარველი!..**

25.XI.2024 წ.

# არა? არა? არა?
# უშველეთ რამე ამ ოპოზაიძვერა იურისტს!

### ვახტანგ ხმალაძე:
### კანონიერია თუ არა პარლამენტის 150 წევრის უფლებამოსილების ცნობა? არა, ისინი მხოლოდ არჩეულად გამოცხადებული პირები არიან!



**– ამის შესახებ კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე სოციალურ ქსელში წერს:**

**„კონსტიტუციური ამოცანა:**

**ფაქტი 1:** 16 ნოემბერს ცესკომ დაადგინა არჩევნების შედეგები და გამოაცხადა პარლამენტის წევრად არჩეული 150 პირის სია.

**ფაქტი 2:** ცესკოს ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში საარჩევნო კოდექსისა და ცესკოს დადგენილებების ზოგიერთი ნორმის ნორმატიული შინაარსისა და მათ საფუძველზე ჩატარებული პარლამენტის არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობისა და, შესაბამისად, ცესკოს შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

**ფაქტი 3:** პრეზიდენტმა არ დანიშნა პირველი სხდომა. პარლამენტმა პირველი სხდომა გამართა 25 ნოემბერს.

**ფაქტი 4:** პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტს უფლება არა აქვს, განიხილოს იმ პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხი, რომლის არჩევის კანონიერებაც გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში.

**ფაქტი 5:** პირველ სხდომაზე მისულმა, არჩეულად გამოცხადებულმა 88 პირმა ცნო პარლამენტის 150 წევრის უფლებამოსილება.

**კითხვები და პასუხები:**

1. კანონიერია თუ არა პარლამენტის 150 წევრის უფლებამოსილების ცნობა? პასუხი: არა!
2. არის თუ არა ეს 150 პირი პარლამენტის წევრი? პასუხი: არა, ისინი მხოლოდ არჩეულად გამოცხადებული პირები არიან, რომელთა არჩევის კანონიერებაც გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში!
3. კონსტიტუციურია თუ არა ამ პარლამენტის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღო პარლამენტმა ან რომლებსაც მიიღებს პარლამენტი თავის წევრთა უფლებამოსილების კანონიერად ცნობამდე? პასუხი: არა!
4. ამ სამი კითხვა-პასუხის გათვალისწინებით, შეუძლიათ თუ არა ახლა პარტიებს, „ჩახსნან“ პარტიული სიები, ხოლო არჩეულად გამოცხადებულ 61 წევრს - წარადგინონ გადადგომის განცხადებები?

ჩემი აზრით, არა, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილებით ისინი ირიბად აღიარებენ უფლებამოსილების ცნობის კანონიერებას!

კონსტიტუციონალისტებო, რას იტყვით?

**P.S. არაფერს ვამბობ სამართლებრივ, და არა პოლიტიკურ, ლეგიტიმიზაციაზე, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად არ ცნო ან არ დააკმაყოფილა სარჩელები.**





### 26 ნოემბრიდან საქართველოს პარლამენტის სასახლეში იმოქმედებს უსაფრთხოების ყვითელი დონე ვიზიტორებს ეზღუდებათ პარლამენტში შესვლა

**26 ნოემბრიდან მის გაუქმებამდე საქართველოს პარლამენტის სასახლეში იმოქმედებს უსაფრთხოების ყვითელი დონე – ვიზიტორებს ეზღუდებათ პარლამენტის სასახლეში შესვლა.**

„საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 04 სექტემბრის N1/259/23 ბრძანების შესაბამისად, მიმდინარე წლის 26 ნოემბრიდან მის გაუქმებამდე საქართველოს პარლამენტის სასახლეში იმოქმედებს უსაფრთხოების ყვითელი დონე – ვიზიტორებს ეზღუდებათ პარლამენტის სასახლეში შესვლა.

დაგეგმილ საპარლამენტო ღონისძიებებზე (მათ შორის კომიტეტის და პლენარულ სხდომებზე) დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწვეული პირები.

შენობაში დაიშვებიან ტელემაუწყებლების/ტელემედია საშუალებების აკრედიტებული არაუმეტეს ორი ჯგუფი თითო მაუწყებლიდან, საპარლამენტო ღონისძიებების დასრულებამდე.

აღნიშნული ღონისძიების მიზანია საქართველოს პარლამენტის სასახლეში სამუშაო და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

# სალომე ზურაბიშვილმა რვა მსჯავრდებული შეიწყალა

**საქართველოს პრეზიდენტმა 26 ნოემბერს რვა მსჯავრდებული პირი შეიწყალა.**

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ექვსი მსჯავრდებული პირი სრულად გათავისუფლდა პენიტენციურ დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, მათ შორის ერთი ქალი მსჯავრდებულია. ორ მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა შეუმცირდა, მათ შორის ერთ ქალ მსჯავრდებულს.

# საქართველოს ახალი მთავრობა 28 ნოემბერს დამტკიცდება

**ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა გუშინ განაცხადა.**

როგორც პაპუაშვილმა განმარტა, დღეს და ხვალ (26 და 27 ნოემბერს, რედ.) მთავრობის შემადგენლობის და პროგრამის განხილვა კომიტეტებში გაიმართება.



# ტრამპის „მეორედ მოსვლა“

**დონალდ ტრამპი ხელმეორედ გახდა აშშ-ის პრეზიდენტი – რიგით 47-ე, თუმცა ფიზიკურად ის ამერიკის შეერთებული შტატების „მხოლოდ“ 45-ე პრეზიდენტია – მან გაიმეორა აშშ-ის 22-ე და 24-ე პრეზიდენტის გროვერ კლივლენდის პრეცედენტი, რომელსაც ერთი ვადის გამოტოვებით ორჯერ ეკავა ეს თანამდებობა – 1885-1889 და 1893-1897 წლებში.**

**ტრამპის მომავალი პრეზიდენტობა უნიკალურია იმით, რომ ის იქნება ყველაზე ხანდაზმული პირი აშშ-ის პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულების დაწყებისას. – ის იმ დროს 5 თვითა და 6 დღით უფროსი იქნება, ვიდრე იყო მისი უშუალო წინამორბედი და ამ პარამეტრით „რეკორდსმენი“ ჯო ბაიდენი 2021 წლის 20 იანვარს.**

პრეზიდენტის ხანდაზმულობას სიმბოლურად აკომპენსირებს ახალგაზრდა, მხოლოდ 40 წლის ვიცე-პრეზიდენტი **ჯეიმს ვენსი,** რომელიც აშშ-ის ისტორიაში ორმოცდაათ ვიცე-პრეზიდენტს შორის ყველაზე ახალგაზრდაა, მე-14 ვიცე-პრეზიდენტის **ბრეკინრიჯის** (1857-1961 წწ.) შემდეგ. თუმცა ასაკობრივი სხვაობით **ბრეკინრიჯსა** და მის პრეზიდენტ **ჯეიმზ ბიუკენენს** შორის ასაკობრივი სხვაობა (30 წელი) მნიშვნელოვნად ჩამორჩება ასაკობრივ სხვაობას ჯეიმს ვენსსა და დონალდ ტრამპს შორის (38 წელი). ეს სხვაობა დიდწილად იმის მანიშნებელიცაა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის მომდევნო, 2028 წლის არჩევნებში რესპუბლიკური და მაღალი ალბათობით, დემოკრატიული პარტიიდანაც, უკვე სხვა – ახალი თაობის პოლიტიკოსები ჩაებმებიან.

2024 წლის არჩევნების შედეგებმა მკაფიოდ გამოავლინა სერიოზული დაპირისპირება და პოლარიზაცია ამერიკული საზოგადოების კონსერვატორულ და ე.წ. ლიბერალურ ფასეულობათა მიმდევარ ძალებს შორის. ტრამპის გამარჯვება **– ესაა ფაქტობრივად კონსერვატორულ ფასეულობებზე ორიენტირებული ამერიკის გამარჯვება ამ ქვეყნის ე.წ. ლიბერალურ ძალებზე.** – კონსერვატორული ამომრჩევლების 90 პროცენტმა მხარი დაუჭირა ტრამპს, მაშინ როდესაც კამილა ჰარისს მხარდამჭერი აღმოჩნდა ასეთი ფასეულობის მატარებელ ამომრჩეველთა მხოლოდ 9 პროცენტი. არანაკლებ კატეგორიული იყო ლიბერალურ ამომრჩეველთა დამოკიდებულება პრეზიდენტობის კანდიდატებისადმი. – ტრამპის მხარეს დადგა ლიბერალურ ამომრჩეველთა მხოლოდ 7 პროცენტი, მაშინ როდესაც ჰარისის მხარეს – 91 პროცენტი. ამასთან, LGBT ამომრჩევლებიდან კამილა ჰარისის მხარდამჭერი აღმოჩნდა 86 პროცენტი, ხოლო ტრამპის მხარდამჭერი – 6.6-ჯერ ნაკლები (13%).

კონსერვატორობა, როგორც წესი, მაღალ კორელაციაშია ასაკთან. აშშ-ში, სადაც მედიანური ასაკი თითქმის 40 წელია (38.5 წელი), ეს მაჩვენებელი დემოგრაფიული ინდიკატორიდან არჩევნების პერიოდში ფაქტობრივად ელექტორალურ ინდიკატორადაც იქცა. – **40 წელზე უფრო ახალგაზრდათა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ჰარისს (53.7% ვს. 46.3), 40 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობამ კი – ტრამპს (52.7 ვს. 47.3). თუმცა ტრამპის უპირატესობა შეინიშნებოდა 30 და მეტი წლის თეთრკანიან ამომრჩევლების მხრიდანაც.** ჰარისის მხარდამჭერი უპირატესად აღმოჩნდნენ დიდ ქალაქებში მცხოვრებნი, ტრამპის მომხრეები კი – დიდი ქალაქების გარეუბნებისა და სოფელ ადგილებში მცხოვრებლები, ამერიკის საშუალო კლასის წარმომადგენლები, რომელთა წლიური შემოსავალი 30-დან 100 ათას აშშ დოლარამდე დიაპაზონშია.

**ამერიკის მოსახლეობის 7/10-ზე მეტი თეთრკანიანია, მათზე მოდიოდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 71 პროცენტი. შესაბამისად, მისი წონა და დამოკიდებულება გადამწყვეტი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. – დონალდ ტრამპს მხარი დაუჭირა ამერიკის თეთრკანიანი მოსახლეობის 57 პროცენტმა (მამაკაცების 60 და ქალების 53 პროცენტმა).**

**შედარებისთვის:** ტრამპის მომხრე იყო შავკანიანი მოსახლეობის მხოლოდ 13 პროცენტი (მათ შორის შავკანიანი მამაკაცების 21 პროცენტი და ქალების მხოლოდ 7 პროცენტი), თუმცა ასეთთა რაოდენობა 2016 წელთან შედარებით თითქმის ორი მილიონით გაიზარდა. ამასთან, ამ ხნის მანძილზე მან ფაქტობრივად გააორმაგა თავისი წილი შავკანიან ახალგაზრდა ამომრჩევლებში.

ტრამპს ხმა მისცა ქრისტიანული აღმსარებლობის ამომრჩეველთა 60 პროცენტზე მეტმა (მათ შორის თეთრკანიანი ქრისტიანი ამომრჩევლების 72%-მა). **პროტესტანტ ამომრჩევლებში ტრამპს – 1.8-ჯერ (63% vs 36%), კათოლიკეებში 1.5-ჯერ (58% vs 40%) მეტი მხარდამჭერი ჰყავდა, ვიდრე ჰარისს.** ამასთან, ტრამპი ჰარისთან შედარებით ნაკლებად პოპულარული აღმოჩნდა ესპანურენოვან ამომრჩევლებში (46% vs 54%) და ებრაულ თემში (22% vs 78%), თუმცა აქაც შეინიშნება 8 წლის წინანდელ არჩევნებთან შედარებით ტრამპის მხარდამჭერთა წილის საგრძნობი ზრდა ესპანურენოვან ამომრჩევლებში (46% vs 29%) და ებრაული თემის ამომრჩეველთა შორის ერთგვარი შემცირება (22% vs 24%)...

მთლიანობაში, ტრამპმა გაიმარჯვა 31 შტატში, მიიღო რა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარის (50.0%) მხარდაჭერა და ამრჩევთა 312 ხმა 538-დან (58.0%).

**2024 წლის არჩევნებში ტრამპს მხარი 76.8 მლნ. ამომრჩეველმა დაუჭირა. – ეს 2016 წელთან შედარებით 15.3 პროცენტით (9.6 მილიონით) მეტია, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში აშშ-ის მოსახლეობა „მხოლოდ“ 6.9 პროცენტით გაიზარდა.**

ტრამპს შეეძლო ჯერ კიდევ 2020 წელს გამხდარიყო მეორე ვადით ამერიკის პრეზიდენტი. ამის შესაძლებლობას იძლეოდა ის წარმატებები, რასაც მან მმართველობის პირველი სამი წლის მანძილზე მიაღწია: შეიქმნა 4 მილიონი სამუშაო ადგილი, მათ შორის მრეწველობაში – 400 ათასი, აშშ-ის მთელი ისტორიის მანძილზე ამერიკული ოჯახების საშუალო შემოსავალმა ყველაზე დიდ ნიშნულს მიაღწია,

**2024 წლის არჩევნებში ტრამპს მხარი 76.8 მლნ. ამომრჩეველმა დაუჭირა. — ეს 2016 წელთან შედარებით 15.3 პროცენტით (9.6 მილიონით) მეტია, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში აშშ-ის მოსახლეობა „მხოლოდ“ 6.9 პროცენტით გაიზარდა.**

ხოლო ესპანურენოვანი და აზიური წარმოშობის ამერიკელ მოქალაქეთა უმუშევართა რიცხვი 2019 წელს მინიმალურ დონეზე დავიდა. მაგრამ მისი პრეზიდენტობის ბოლო წელს **„ვარსკვლავების ნეგატიურმა განლაგებამ“** მის მიმართ ფორტუნა ზურგით შეაბრუნა. 2020 წელს პრეზიდენტი ტრამპი ერთდროულად აღმოჩნდა ფატალური დატვირთვის რამდენიმე უმწვავესი გამოწვევის წინაშე, რომელთაგან აღსანიშნავია კორონავირუსის პანდემია, ამ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკის ვარდნა (-3.4%) და უმუშევრობის ზრდა რამდენიმე ათეული მილიონით, აგრეთვე **ჯორჯ ფლოიდის** გარდაცვალებასთან დაკავშირებული რასობრივი გამოსვლები და მასობრივი არეულობები. და მიუხედავად იმისა, რომ მან 2020 წელს 11.2 მილიონით მეტი ხმა მიიღო 2016 წელთან შედარებით, ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი მისი გამარჯვებისათვის...

2024 წელს ტრამპის წინასაარჩევნო სლოგანი ისეთივე იყო, როგორიც 2016 და 2020 წლებში: **გავხადოთ ამერიკა კვლავ დიადი!** (Make America Great Again!). ამასთან, აღნიშნული სლოგანთან ერთად, მისი საარჩევნო კრედოს ნაწილი გახდა 2024 წლის 16 ივლისს ამომრჩევლებთან შეხვედრისას პენსილვანიაში დაჭრის შემდეგ **მაღლა აღმართული მუშტი. ამერიკელებმა მასში, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, დაინახეს არა შოუმენი, არა მეამბოხე, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს, არამედ ჩამოყალიბებული, მტკიცე ნების გამომხატველი პოლიტიკური ლიდერი.**

ტრამპის ზემოხსენებულმა სლოგანმა მართლაც იმუშავა რიგითი ამერიკელების უმრავლესობაზე – მის პრეზიდენტად არჩევას მხარი დაუჭირა საკუთარი სახელმწიფოსა და პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესების მოლოდინის რეჟიმში მყოფი ამომრჩევლების 2/3-ზე მეტმა.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ტრამპის გამარჯვებაში სოციალური ქსელის პლატფორმების როლი, რომელსაც ის აქტიურად იყენებდა მთელ წინასაარჩევნო პერიოდში და რომლის მეშვეობითაც მან დიდწილად ხელიდან გამოგლიჯა დემოკრატიული პარტიის კანდიდატს ამომრჩეველთა კონტინგენტის მნიშვნელოვანი და მზარდი სეგმენტი.

**ტრამპის წარმატება მის ეფექტურ სლოგანთან („ამერიკა უპირველეს ყოვლისა და დავუბრუნოთ მას სიდიადე“) ერთად, განაპირობა სამმა მთავარმა ფაქტორმა:**

**ა) მიგრანტთა მოძალებამ,** რომელმაც სერიოზული დისონანსი შეიტანა ქრისტიანულ და ტრადიციული ფასეულობების ერთგულ ამერიკელებში. – ამაზე საპასუხოდ, ხელისუფლებაში ყოფნის მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, რესპუბლიკური გუნდი აპირებს მექსიკასთან სასაზღვრო ბარიერების გაძლიერებას და კონტროლის გამკაცრებას, არალეგალური მიგრანტების დეპორტაციის რაოდენობის ათჯერ (წელიწადში – მილიონ კაცამდე) გაზრდას, რაც წინასწარი შეფასებით, ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს თითქმის ერთი ტრილიონი დოლარი დაუჯდებათ;

**ბ) ე.წ. ლიბერალიზმის მოძალებამ, რომლის დამაგვირგვინებელი აღმოჩნდა ინფორმაცია რეპერ დიდის** მიერ მოწყობილ ორგიებზე, სადაც ჰოლივუდის ცნობილი სახეებიც მონაწილეობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ **დიდის** სკანდალი თითქმის ისეთივე ეფექტის მატარებელი გამოდგა, როგორიც საქართველოში „ციხეების სკანდალი“ 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების წინ. შემთხვევითი არ არის, რომ დემოკრატების „ციტადელ“ შტატში - კალიფორნიაში - მართალია, ტრადიციულად დემოკრატმა კანდიდატმა გაიმარჯვა და ამ შტატმა კამილა ჰარისის ყულაბაში მხარდამჭერ ამრჩევთა რაოდენობის თითქმის ¼ შეიტანა, მაგრამ სხვაობა წინა არჩევნებთან შედარებით დემოკრატ და რესპუბლიკელ კანდიდატთა შორის ფაქტობრივად განახევრდა - 2016 წლის 30.1 პროცენტიდან 2024 წლის 16.8 პროცენტამდე – ტრამპმა ამ შტატში ხმების 39.8% მიიღო (2016 წ. – 31.6%; 2020 წ. – 34.2%).



**გ) 2024 წლის 16 ივლისს ამომრჩევლებთან შეხვედრისას პენსილვანიაში დაჭრილი პრეზიდენტობის კანდიდატის მყისიერად ზეაღმართული მუშტი გახდა ის მძიმე არტილერია, რომელმაც მისდამი უნდობლობისა თუ სკეფსისის ჩინური კედელი საბოლოოდ გაანგრია და ამერიკელ ხალხს თავდაჯერებულობისა და გამარჯვების რწმენის ისეთივე იმედი შთაბერა, როგორც თავის დროზე ისტორიულმა ფოტომ კუნძულ ივოძიმას მთაზე 1945 წლის 23 თებერვალს საზღვაო ქვეითების მიერ ამერიკული დროშის აღმართვამ.**

ტრამპის ხელისუფლებაში მომდევნო ოთხი წლის მანძილზე მისი საშინაო პოლიტიკა დამყარებული იქნება ფასეულობათა სისტემაზე, რომელიც მას ფართო საზოგადოებრიობის წინაშე არაერთგზის გაუჟღერებია. ესენია: *ა) რელიგია და რწმენა, რომელიც ნიშნავს პატრიოტიზმს; ბ) თანამედროვე დამახინჯებული ლიბერალობა ტოტალიტარიზმია – თუ ლიბერალის/მემარცხენის მოსაზრებას არ იზიარებ, „კეთროვანი“ და დასაბლოკი ხარ! – ეს არაა დემოკრატია და მე ამას არ დავუშვებ თავისუფლების ნავსაყუდელ ამერიკაში; გ) ეს ქვეყანა ქრისტიანულ ფასეულობებზეა შექმნილი. ამერიკული ოჯახი ამ ქვეყნის აკვანია, კლდეა; დ) ყველა სუვერენულმა ქვეყანამ უნდა დაიცვას საკუთარი საზღვრები; ე) ჩვენ ვაშენებთ კედელს, რათა პასუხისმგებლიანმა მთავრობამ დაიცვას საკუთარი ერის უსაფრთხოება და წარმატება.*

კარგადაა ცნობილი აგრეთვე ტრამპის მოწოდება ნატოს წევრი ქვეყნებისადმი ამ უკანასკნელთა მიერ კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციაში საკუთარი წვლილის გაზრდის აუცილებლობის თაობაზე.

მაღალი ალბათობით, ტრამპის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საგარეო პოლიტიკაში იქნება ჩინეთთან კონკურენცია ტექნოლოგიური ლიდერობისა და დანარჩენ მსოფლიოზე გავლენის მოპოვებისა თუ შენარჩუნებისათვის, აგრეთვე შიდა ბაზრის დაცვა საბაჟო ტარიფების გაზრდით. ამაში მას მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მილიარდერი ილონ მასკი, რომელმაც მის საარჩევნო ყულაბაში 200 მილიონი აშშ დოლარი შეიტანა. უფრო მეტიც: ილონ მასკს კონკრეტული ამოცანა აქვს ტრამპის ადმინისტრაციაში; **აშშ-ს 47-ე პრეზიდენტის განზრახვაა, გზა გაუხსნას სამთავრობო ბიუროკრატიის აღმოფხვრას, ჭარბი რეგულირებისა და უსარგებლო ხარჯების შემცირებას და ფედერალური სააგენტოების რესტრუქტურიზაციას.**

საქართველო

## აშშ-ის 47-ე პრეზიდენტის განზრახვაა, გზა გაუხსნას სამთავრობო ბიუროკრატიის აღმოფხვრას, ჭარბი რეგულირებისა და უსარგებლო ხარჯების შემცირებას და ფედერალური სააგენტოების რესტრუქტურიზაციას.

ამაში კი კრეატიული სიახლეებისადმი გარკვეულწილად ექსტრავაგანტური ილონ მასკი ყველაზე შესაფერისი კანდიდატურაა. მიზანი გაცხადებული და ერთმნიშვნელოვანია: ამ მიზნით სპეციალურად მისთვის შეიქმნა **სახელმწიფო ეფექტიანობის დეპარტამენტი** (ინგლ. – Department of Government Efficiency, DOGE).

**ტრამპ-მასკისეული რეფორმა სამი ნაწილისგან შედგება. პირველ რიგში, ბიუროკრატიული ინსტრუქციების გროვის გაუქმება, ზედმეტი რეგულაციების აღმოფხვრა, გამარტივება, ეკონომიკის დერეგულაცია. – საგაგი კი ამისათვის საკმაოზე მეტია: მხოლოდ მოქმედ საგადასახადო კოდექსში XX საუკუნის შუა წლებთან შედარებით სიტყვათა რაოდენობა 10.1-ჯერაა გაზრდილი – 1.5 მილიონიდან 16 მილიონამდე. მოქალაქეები მილიარდობით საათს ხარჯავენ საგადასახადო დეკლარაციების შევსებაში (დიდწილად, აღნიშნულ ვითარებას უნდა უკავშირდებოდეს ამერიკაში ფეხმოკიდებული, რამდენადაც სარკასტული, იმდენად სევდიანი „ხუმრობა“: *„ამერიკის ეკონომიკა ვითარდება ღამით, როდესაც მთავრობას სძინავს“*).**

**მეორეც, სახელმწიფო აპარატში სამუშაო ადგილების შემცირება, სამთავრობო ბიუროკრატიის აღმოფხვრა;**

**მესამე – მიმდინარე საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა. მასკის მტკიცებით, შესაძლებელია ბიუჯეტის შემცირებას მინიმუმ 30 პროცენტით – 2 ტრილიონი დოლარით, რაც ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციის წლიური ეროვნული პროდუქტის ეკვივალენტურია. ეს იმდენად მასშტაბური ამოცანაა, რომ მას შემთხვევით არ უწოდეს „ჩვენი დროის მანჰეტენის პროექტი“.**

ხელმეორე პრეზიდენტობის დაწყება ტრამპს უწევს აშშ-ის კონგრესის ორივე პალატაში - წარმომადგენელთა პალატასა და სენატში – რესპუბლიკური პარტიის დომინაციისა და აშშ უზენაეს სასამართლოში კონსერვატიული ფრთის გაძლიერების პირობებში. ერთი შეხედვით მას, როგორც აშშ 47-ე პრეზიდენტს, საკუთარი გეგმების რეალიზაციისათვის უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნია, ვიდრე გააჩნდა 45-ე პრეზიდენტის რანგში მყოფს. მიუხედავად ამისა, **ტრამპის გამარჯვება კონსერვატორული ძალების გლობალისტურ ძალებზე სტრატეგიულ გამარჯვებად არ უნდა მივიჩნიოთ, ის უფრო ტაქტიკური, საშუალოვადიანი წარმატებაა,** რამეთუ ამ უკანასკნელთ, „ლიბერალებს“, საკმაოდ ძლიერი ზურგი, ფინანსური რესურსი და საბრძოლო ჟინი მოეპოვებათ. მათ მოახერხეს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ საკუთარი ძალების გადაჯგუფება და უკვე გამოხატავენ მზაობას კონსერვატორულ ძალებთან შერკინების ახალი რაუნდისათვის. **ბრძოლა ნამდვილად არ იქნება იოლი, თუმცა ხატოვნად რომ ვთქვათ, სადუელიანტო ხელთათმანი უკვე ნასროლია. – ტრამპის ადმინისტრაციამ „უკვე მოასწრო“ და ამერიკელი გლობალისტების ალამდარ ბილ გეიტსს პრობლემები „უწინასწარმეტყველა“...**

**ბიუროკრატიასთან ბრძოლაში წარმატება ტრამპის ადმინისტრაციის წარმატებულობის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იქნება.** ეს ბრძოლა არ იქნება მარტივი. არც ისაა შემთხვევითი, რომ იგი ერთადერთი არჩეული პრეზიდენტია, რომელსაც ამერიკულ ბიუროკრატიასთან ბრძოლა ორი იმპიჩმენტის მცდელობის ფასად დაუჯდა. თვითკმარ და კვლავწარმოებად ბიუროკრატიას ხომ თავისი „სლოგანი“ აქვს: *„პრეზიდენტები მიდიან და მოდიან, ბიუროკრატია კი რჩება!“* ამჯერად საკითხი ასე დგას: **ვინ – ვის?** ამაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული ტრამპის წინასაარჩევნო სლოგანის **– გავხადოთ ამერიკა კვლავ დიადი,** რეალიზაცია, მისი გამარჯვებისთანავე გაკეთებული განცხადების: **„მე არ მოვისვენებ, სანამ არ ავაშენებ ძლიერ, უსაფრთხო და აყვავებულ ამერიკას, რომელსაც იმსახურებთ თქვენ და თქვენი შვილები“**, აღსრულება.

რა თქმა უნდა, „მეორედ მოსული“ ტრამპის მთავარი ყურადღება კონცენტრირებული იქნება შიდა სახელმწიფოებრივ პრობლემებზე, თუმცა იგი ვერ ასცდება და არც აპირებს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე უარს. მას პრეზიდენტობის დაწყება მოუწევს ურთულეს საერთაშორისო პირობებში, გლობალური კონფრონტაციისა და ახალი მსოფლიო ომის არნახულად გაზრდილი საფრთხის პირობებში. მისგან ელოდებიან ამ ტურბულენტურ და პოლარიზებულ სამყაროში წინააღმდეგობათა არაერთი „გორდიას კვანძის“ გახსნას.

**მისი შესაბამისი ძალისხმევის წარმატებულობაზე დიდწილად დამოკიდებული იქნება მსოფლიოში მშვიდობის, სამართლიანი წესრიგისა და განვითარების პერსპექტივების უზრუნველყოფა.**



**იოსებ არჩვაძე**
(599 32 18 98),
2024 წლის ნოემბერი

**P. S.**

ტრამპი „მრავალცოლიანი“ (3-ჯერ იყო დაქორწინებული) და მრავალშვილიანია (ხუთ შვილის მამაა). გადაღებულია არაერთ ფილმსა თუ სერიალში, იყო რეალითი შოუს პროდიუსერი და წამყვანი, სილამაზის კონკურსის „მის სამყაროს“ მფლობელი 1996-2015 წლებში, გამოცემული აქვს წიგნები ბიზნესზე და ა.შ.

**ტრამპი გვპირდება, რომ გააგრძელებს ტენდენციურ, ყალბი ინფორმაციის გამავრცელებელი ჟურნალისტების (ქართულად კარგად შეესაბამება სიტყვა „ჯორნალისტი“) მხილებას და საჯარო შერცხვენას, როგორც ამას აკეთებდა პირველი პრეზიდენტობის მთელი პერიოდის მანძილზე.**

ცხოვრებაში ქალთა გულთამპყრობელი ტრამპი პოლიტიკაში მათი „ქრონიკული დამმარცხებელი“ გახდა.

ტრამპი აპირებს რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას მაქსიმალურად შეუწყოს ხელი და უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს ტრადიციულ და კონსერვატორულ ნაციონალურ ძალებთან მთელ მსოფლიოში, რისი მკაფიო მაგალითია მისი მჭიდრო ურთიერთობა უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანთან.

**ი. ა.**

## არავითარი ცენზურა, არავითარი გაყალბება, არავითარი თავდასხმა!



დანილო დელა ვალე

**ევროპარლამენტში დარეგისტრირდა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოუწოდებს ყველა მხარეს, პატივი სცენ 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს, იმუშაონ კონსტრუქციულად და დაძლიონ პოლარიზაცია**

**ევროპარლამენტში იტალიელმა დეპუტატმა, მოძრაობა „ხუთი ვარსკვლავის“ წევრმა დანილო დელა ვალემ მემარცხენე ჯგუფის სახელით დაარეგისტრირა საქართველოს შესახებ რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოუწოდებს ყველა მხარეს, პატივი სცენ 26 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, იმუშაონ კონსტრუქციულად კანონის უზენაესობის დაცვით და დაძლიონ ქართველ საზოგადოებაში მზარდი პოლარიზაცია.**

რეზოლუციის პროექტი მოუწოდებს ევროკავშირს საქართველოს ახალ მთავრობასთან ერთიანი და მიზნობრივი დიალოგისკენ.

დოკუმენტის სახელწოდებაა **„საქართველოს გაუარესებული დემოკრატიული კრიზისი ბოლო საპარლამენტო არჩევნებისა და არჩევნების სავარაუდო გაყალბების შემდეგ“.**

პროექტში ნათქვამია, რომ ითვალისწინებენ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წინასწარ ანგარიშს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა ადეკვატურ საფუძველს უზრუნველყოფს დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, ამომრჩევლებს შესთავაზეს 18 პოლიტიკური სუბიექტისგან შემდგარი სიიდან ფართო არჩევანი, მონაწილე სუბიექტებს შეეძლოთ კამპანიის თავისუფალად წარმოება და არჩევნების ადმინისტრირება ზოგადად მოწესრიგებული იყო. დოკუმენტში გამოთქმულია წუხილი, რომ ეს არჩევნები ჩატარდა პოლარიზებულ გარემოში და არათანაბარ პირობებში, რომ იყო ცნობები ამომრჩევლებზე ზეწოლის შესახებ და შემთხვევები, როდესაც ხმის ფარულობა პოტენციურად დაირღვა. დოკუმენტი მოუწოდებს საქართველოს ახალ მთავრობას, შეასრულოს ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები.

რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირში გაწევრების პროცესი ეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმებს; ასევე გამოთქმულია წუხილი ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეაჩეროს საქართველოსთვის ფინანსური დახმარება. დოკუმენტში ხაზგასმულია ვიზალიბერალიზაციის შეთანხმების სარგებელი და მისი შენარჩუნების საჭიროება; გარდა ამისა, ხაზგასმულია საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის კონსტრუქციული დიალოგის საჭიროება.

**დოკუმენტში გამოთქმულია ღრმა შეშფოთება „ოჯახური ფასეულობებისა და არასრულწლოვანთა დაცვის“ შესახებ კანონის მიღების გამო და აღნიშნული კანონი შეფასებულია როგორც „თავდასხმა ლგბტქ+ თემზე და საფრთხე მთლიანად სამოქალაქო თავისუფლებებისთვის“. იმეორებს, რომ „მედიის თავისუფლება და ტოლერანტობა სექსუალური უმცირესობების მიმართ არის ძირითადი ფაქტორები დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის“; ასევე გამოთქვამს შეშფოთებას მედიისთვის ამ კანონის შედეგების გამო იმის გათვალისწინებით, რომ „ის აწესებს ცენზურას მაუწყებლებისთვის ლგბტქ+-ის საკითხების თავისუფლად გაშუქების აკრძალვით“. პროექტში ნათქვამია, რომ მედიის თავისუფლება და სექსუალური უმცირესობებისადმი ტოლერანტობა არის საკვანძო ფაქტორები დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის.**

პროექტში აღნიშნულია, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონს ახლავს რისკი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ოპოზიციური მედიასაშუალებები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ დაფინანსებას სხვა ქვეყნებიდან, იქნებიან აღნიშნული როგორც „უცხოური აგენტები“.

რეზოლუციის პროექტი ხაზს უსვამს, რომ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებისა და მშვიდობიანი პროტესტის უფლება არის ფუნდამენტური თავისუფლებები და დაცული უნდა იყოს ნებისმიერ გარემოებებში. დოკუმენტი გამოხატავს შეშფოთებას დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის არასაჭირო და არაპროპორციული გამოყენების შესახებ ცნობებთან დაკავშირებით; აღნიშნავს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, ვოლკერ თურქის განცხადებას, რომ **„ამ უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს. საპროტესტო აქციების დროს ძალის გამოყენება ყოველთვის უნდა იყოს გამონაკლისი და უკიდურესი ზომა, როდესაც საფრთხე გარდაუვალია“.**

დოკუმენტში ასევე გამოთქმულია მწუხარება სავალდებულო გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების გამო; ხაზგასმულია პოლიტიკურ საქმიანობაში დაბალანსებული გენდერული წარმომადგენლობის საჭიროება, ასევე გამოთქმულია სინანული საარჩევნო პროცესში ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობის გამო; რეზოლუციის პროექტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, განახორციელოს ინიციატივები ამ კუთხით.

დოკუმენტი ითვალისწინებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებებს ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამართულ პრესკონფერენციაზე და ქართველი ოფიციალური პირების შესაბამის მზაობას, გადაწყვიტონ საკითხები მშვიდობიანი, დიპლომატიური გზით; მოუწოდებს ორივე მხარეს, განახორციელონ მტკიცე ინიციატივები ამ მიმართულებით.

## 27 გარემოსდაცვითი დირექტივიდან 20 უკვე შესრულებული გვაქვს!



**დღეისთვის საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 27 გარემოსდაცვითი დირექტივიდან 20 უკვე შესრულებული აქვს, – ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

ინფორმაციის თანახმად, ბოლო ათი წლის განმავლობაში, ქვეყანაში 32 ახალი დაცული ტერიტორია შეიქმნა, მაღალი დაცულობის სტატუსით სარგებლობს 440 000 ჰექტარი ტყეც.

„ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კონტროლის მიზნით, 15 ავტომატური და 3 მობილური მაღალტექნოლოგიური სადგური მუშაობს.

მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი 72 პუნქტზე ხორციელდება.

ამინდის მაქსიმალური სიზუსტით პროგნოზირებისთვის, დამონტაჟებულია 2 ულტრათანამედროვე მეტეოროლოგიური რადარი და 184 უმაღლესი სტანდარტის სადგური.

თანამედროვე მონიტორინგის სისტემები 18 მსხვილ მეწყრულ ზონაში მუშაობს.

განსაზღვრული გეგმის თანახმად:

- **2028 წლისთვის საქართველოს საერთაშორისო სტანდარტების ადრეული გაფრთხილების სისტემები ექნება;**
- **2030 წლისთვის 47%-ით შემცირდება სათბური აირების გაფრქვევები (GHG ემისიონს);**
- **2050 წლისთვის კი, საქართველო კლიმატნეიტრალური ქვეყანა გახდება.**

გარემოს დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია“! – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მოერიდეთ „ვენერას რისხვას“!




**მამაკაცის ჯანმრთელობის პრობლემების მიმოხილვის შემდეგ, გარკვეულწილად ლოგიკური იქნება ვისაუბროთ იმ ინფექციურ დაავადებებზე, რომლებიც უროლოგიურ პრაქტიკაში გვხვდება. რუბრიკას უძღვება პროფესორი არჩილ ჩხოტუა**

***— ბატონო არჩილ, ჩვენი წინა საუბრის შემდეგ, რომელიც უშვილობის პრობლემებს ეხებოდა, მეტად საინტერესო იქნება საშარდე გზების ინფექციების, ანუ „ვენერიული დაავადებათა“ საკითხის გაშლა, ვინაიდან ისინი ხშირად მამაკაცების უშვილობის ერთ-ერთი მიზეზი ხდება ხოლმე.***

— სპეციალისტები მათ „სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს“ ვუწოდებთ და, მართალი ბრძანდებით, ისინი შეიძლება გახდეს მამაკაცის უშვილობის მიზეზი. მაგრამ, მოდით ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, რომ საშარდე გზების ინფექციები იყოფა ორ ჯგუფად: სქესობრივი გზით გადამდებ და სქესობრივი გზებით არგადამდებ დაავადებებად. როგორც თავად სახელწოდება გვიჩვენებს, ეს ორი ჯგუფი ინფექციებისა პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან გადაცემის, ანუ გავრცელების გზით. პირველ შემთხვევაში, პიროვნება, ქალი იქნება ეს თუ მამაკაცი, იღებს ამ დაავადებას სქესობრივი კონტაქტისას და გადასცემს მას პარტნიორებს სქესობრივი გზებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, დაავადების გავრცელება განსხვავებულია და არ არის დაკავშირებული სქესობრივ კონტაქტთან. ზოგადად, ეს ძალიან დიდი თემაა და მოდით, დღეს ვისაუბროთ მამაკაცების სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, რაც, ვფიქრობ, მკითხველის დიდ უმეტესობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს დააინტერესებს და წინა თემების გარკვეულწილად ლოგიკური გაგრძელებაც იქნება.

***— ბატონო არჩილ, რომელია ის ინფექციები, რომლებიც სქესობრივი გზით გადადის და რა განაპირობებს ამ საკითხის აქტუალობას ჩვენს ქვეყანაში?***

— ეს დაავადებები ისევე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა. პირველი ინფორმაციები სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ, ძველეგვიპტურ პაპირუსებში მოიპოვება. შემდგომი შეტყობინებები განეკუთვნება საბერძნეთისა და რომის იმპერიების პერიოდს. ასე მაგ., ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4000 წელს, ჰიპოკრატე აღწერს დაავადებას, რომელიც ძალიან ჰგავს გონორეას. ასევე დაზუსტებით ვიცით, რომ სიფილისი ძალიან გავრცელებული იყო ანტიკურ ხანაში. XVI საუკუნიდან იგი იმდენად ფართოდ მოედო ევროპას, რომ უდიდესი სამედიცინო პრობლემა გახდა. ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი, პოლიტიკოსი, ხელოვანი თუ სხვა, იყო დაავადებული და გარდაიცვალა სწორედ სიფილისით, ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით. მათ რიცხვს განეკუთვნებიან: ქრისტეფორე კოლუმბი, ივანე მრისხანე, ბენიტო მუსოლინი, ვლადიმერ ლენინი, ფრიდრიხ ნიცშე, გი დე მოპასანი, ანრი ტულუზ-ლოტრეკი, ალ კაპონე და კიდევ მრავალი სხვა. მე-19 საუკუნემდე ამ დაავადებებისგან ეფექტიანი თავდაცვის საშუალებები არ არსებობდა. ჩვენ მოგვეპოვება ინფორმაციები თავდაცვის სხვადასხვა, ზოგჯერ კურიოზული საშუალებების გამოყენების შესახებ. ასე მაგალითად, ჩინეთში იყენებდნენ დღევანდელი კონდომის წინაპარს, რომელიც მზადდებოდა ცხვრის ნაწლავისაგან. იაპონიაში, იგივე მიზნით, გამოიყენებოდა ცხოველის რქა, და ა. შ.

„გარღვევა“ ამ პრობლემაში მოხდა 1800-იან წლებში, როდესაც გამოიგონეს რეზინის კონდომი და ფართოდ დაიწყო მისი გამოყენება როგორც კონტრაცეფციის, ისე სხვადასხვა დაავადებებისაგან თავდაცვის მიზნით.

დღეს მედიცინისათვის ცნობილია ოცდაათი ბაქტერია, ვირუსი და პარაზიტი, რომლებიც სქესობრივი გზით გადადის. თუ გადავხედავთ ამ ინფექციების სტატისტიკას საქართველოში, ვნახავთ, რომ რეგისტრირებული ახალი შემთხვევების რაოდენობა ყოველწლიურად კლებულობს, რაც უდავოდ სასიხარულო ფაქტია. ასე მაგ. ოთხი ყველაზე ხშირი ინფექციის შემთხვევების რაოდენობა შემცირდა 7778-დან 2019 წელს, 4647-მდე 2023 წელს. თუმცა, მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო ერთ, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვან და საყურადღებო ფაქტზე - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების სიხშირეზე მოზარდთა ასაკში. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად რეგისტრირდება ბავშვთა ასაკში აღნიშნული დაავადებების რამდენიმე ასეული შემთხვევა და, რაც კიდევ უფრო





**ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი იყო დაავადებული და გარდაიცვალა სწორედ სიფილისით. მათ რიცხვს განეკუთვნებიან: ქრისტეფორე კოლუმბი, ივანე მრისხანე, ბენიტო მუსოლინი, ვლადიმერ ლენინი, ფრიდრიხ ნიცშე, გი დე მოპასანი, ანრი ტულუზ-ლოტრეკი, ალ კაპონე და კიდევ მრავალი სხვა.**



დამაფიქრებელია, მათი სიხშირე წლებთან ერთად მნიშვნელოვნად არ მცირდება და ხუთი პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან შემაშფოთებელი ფაქტია და მისი გამომწვევი მიზეზების გულდასმით შესწავლასა და პრევენციას მოითხოვს.

***— მართლაც რომ ძალიან დამაფიქრებელი მონაცემებია! მაინც რა შეიძლება იყოს ბავშვებში ამ დაავადებების გავრცელების მიზეზები და როგორ შეიძლება დაიცვან მშობლებმა თავიანთი შვილები?***

— ეს მულტიფაქტორული მოვლენაა, რომლის ყველა მიზეზი ჩვენთვის უცნობია. უფრო მეტსაც გეტყვით: ზოგიერთი მათგანი არასამედიცინო სივრცეში დევს. ასე მაგ., ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისათვის ადეკვატური, სწორი განათლების მიწოდება და სწორი სქესობრივი აღზრდა, თუმცა, ჯერჯერობით გარკვეული არ არის, თუ ვინ და რა ფორმით უნდა გააკეთოს ეს. ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, დღემდე არსებობს ტაბუირებული თემები, რომლებზე საუბარი არათუ საინფორმაციო საშუალებებით არ არის დაშვებული, არამედ ოჯახშიც აკრძალულია. ჩვენი საშუალო განათლების სისტემა არ ითვალისწინებს ბავშვებისათვის სქესობრივი აღზრდის ელემენტარული ნორმების გაცნობას. დიდ უმრავლესობა შემთხვევაში, არ ხდება ეს ოჯახებშიც, ამიტომ სრულიად გაუგებარია, საიდან უნდა მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია ბავშვმა? მოყვანილი შემთხვევების გარკვეული ნაწილი გვხვდება ჯერ კიდევ მზარდ და ჩამოყალიბების პერიოდში მყოფ ორგანიზმში, კერძოდ, 14 წლამდე ასაკის ბავშვებში. წარმოგიდგენიათ, რამხელა, ზოგჯერ გამოუსწორებელი ზიანი შეიძლება მიაყენოს ამ დაავადებებმა მზარდ ორგანიზმს?! **მოზარდებისათვის მინიმალურად აუცილებელი ცოდნისა და აღზრდის უზრუნველყოფა ამ დაავადებების პრევენციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.**

**საბედნიეროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში მარტივად ხელმისაწვდომია ინფექციური თავდაცვის ელემენტარული საშუალებები, ასევე ფართოდ არის განვითარებული დიაგნოსტიკური ტესტები და სერვისები მათი აღმოჩენისათვის, რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.**

ზოგადად თუ ვიტყვით, ხალხის ინფორმირება, განათლება და კონსულტაცია არის ქვაკუთხედი ამ დაავადებებთან წარმატებული ბრძოლისა! საზოგადოების დაბალი ცნობადობა და ამ სნეულებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხის სტიგმატიზება კი რჩება მათთან ეფექტიანი ბრძოლის ძირითად ბარიერად. სწორედ საზოგადოების ცნობადობის ამაღლების მცდელობად უნდა განვიხილოთ თქვენი გაზეთის ეს და ამ ციკლის სხვა სტატიებიც.

***— ბატონო არჩილ, რომელია ის დაავადებები, რომლებიც შედის სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებში და ყველაზე ხშირად გვხვდება პრაქტიკაში?***

— ზოგადად, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები მრავალრიცხოვანია. მათ იწვევენ კონკრეტული მიკროორგანიზმები – ბაქტერიები, ვირუსები და პარაზიტები, რომელთაგან საქართველოში ყველაზე ხშირად გვხვდება ტრიქომონიაზი, გონორეა, ქლამიდიოზი და ათაშანგი ანუ სიფილისი. აღნიშნულ დაავადებებში ასევე შედის გენიტალური ჰერპესი, ურეაპლაზმა, მიკოპლაზმა და პაპილომავირუსი. სხვა ინფექციები არც ისე ხშირია და მნიშვნელოვან კლინიკურ პრობლემას არ წარმოადგენს. ჩვენ აქ არ ვსაუბრობთ აივ ინფექცია შიდსზე და B ჰეპატიტზე, ვინაიდან მართალია ისინი კი შედიან სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებში, მაგრამ მათი მიმდინარეობა, გართულებები და მკურნალობა ძალზე სპეციფიკურია და უროლოგიის კომპეტენციას სცილდება.

გავრცელების სიხშირის მიხედვით, საქართველოში ჭარბობს ტრიქომონიაზი, სიფილისი, ქლამიდიური და გონოკოკური ინფექციები – სწორედ ამ თანმიმდევრობით. ეს სტატისტიკა ნარჩუნდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ სიხშირის მხრივ, ამ დაავადებებს ახასიათებთ გარკვეული გენდერული განსხვავებები. ასე მაგალითად, თუ სიფილისი და გონორეა უფრო ხშირია მამაკაცებში, ტრიქომონიაზი დაახლოებით 9-10-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება ქალებში. სამწუხაროა, რომ სიფილისი, რომელიც მსოფლიოს ცივილიზირებულ ქვეყნებში უკიდურესად იშვიათი დაავადებაა, ჯერ კიდევ ხშირია საქართველოში.

***— რა ჩივილებით ხასიათდებიან სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და როგორ უნდა ამოიცნოს ისინი პაციენტმა?***

— მამაკაცებში ამ დაავადებებს ძირითადად ახასიათებს შემდეგი სიმპტომები: ტკივილი, წვა, ან ქავილის შეგრძნება საშარდე მილის გასწვრივ; ლორწოვანი, ჩირქოვანი, ან შერეული, ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენი საშარდე მილიდან; გამონაყარი ან ე.წ. მეჭეჭები სასქესო ორგანოების არეში; მოშარდვის დარღვევები (მტკივნეული და გახშირებული შარდვა, წვა შარდვის დროს, და სხვა); შემაწუხებელი ქავილი გენიტალიების არეში. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირად ეს ინფექციები ყოველგვარი ჩივილების გარეშე მიმდინარეობს. ამ დროს, პაციენტი (იქნება ეს მამაკაცი თუ ქალი) ინფიცირებულია და ხელს უწყობს დაავადების გავრცელებას.

**რჩევა მკითხველს:** **თუ შეამჩნევთ ნებისმიერი სახის გამონადენს საშარდე მილიდან, გამონაყარს გენიტალიების არეში ან პირის ღრუში, ტკივილს საშარდე მილის გასწვრივ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თქვენ შეიძლება იყოთ დასნებოვნებული სქესობრივი გზით გადამდები ინფექციით.**

***– ბატონო არჩილ, კონკრეტულად როგორ ხდება ამ მიკროორგანიზმებით ადამიანის დასნებოვნება, მათი შეჭრა ორგანიზმში და როგორ შეიძლება თავიდან ავირიდოთ ის?***

– ინფიცირების ძირითადი მექანიზმია დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული. ეს მიკროორგანიზმები, ბაქტერიები, ვირუსები თუ პარაზიტები, გამოიყოფა ადამიანის ბიოლოგიურ სითხეებში, როგორებიცაა სისხლი, სპერმა, შარდი, ნერწყვი და სხვა, ამიტომ, კონტაქტი აღნიშნულ სითხეებთან გამოიწვევს ინფიცირებას. მეტიც, შეხებამ კანის დაზიანებულ უბნებთან (ძირითადად გენიტალიებზე), ასევე შეიძლება გამოიწვიოს ინფიცირება სექსუალური აქტის გარეშეც. იშვიათად დაავადება შეიძლება გადაეცეს ბავშვს დედისგან მშობიარობისას (მაგ. სიფილისი).

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია დამოკიდებულია რისკებზე, რომელთა ჯგუფში შედიან: აქტიური, პოლიგამიური (მრავალი სხვადასხვა პარტნიორი) სქესობრივი ცხოვრების წესის მქონე მამაკაცები და ქალები, რომლებიც თავდაცვის მეთოდებს არ იყენებენ; სექსმუშაკები; არატრადიციული სექსულაური ორიენტაციის პირები; არაადეკვატურად ნამკურნალები სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მქონე პირები; ინტრავენური ნარკომანები. უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი ეს დაავადება გადადის ნემსით, ასე მაგ. ტატუების ან პირსინგების გაკეთებისას.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ **კონდომი დღემდე რჩება ამ დაავადებებისაგან თავდაცვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად!** პრევენციის სხვა მეთოდებიდან მკითხველებს შემიძლია ვურჩიო შემდეგი: იყავით მონოგამიურ ურთიერთობაში; მკაცრად დაიცავით პირადი ჰიგიენის წესები სქესობრივ აქტამდე და დაუყოვნებლივ მის შემდეგ; მოერიდეთ პირსახოცებისა და თეთრეულის გაცვლას; აიცერით პაპილომავირუსსა და B ჰეპატიტზე; მოერიდეთ ალკოჰოლის ჭარბ და ხშირ მიღებას, ასევე ნარკოტიკულ საშუალებებს, გახსოვდეთ, ამ დაავადებებით ინფიცირების უმეტესი შემთხვევები სწორედ ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის დროს ხდება; შეასრულეთ ექიმის დანიშნულება და მიჰყევით მის რეკომენდაციებს.

***– რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს თუ ისინი დროულად არ იქნა დიაგნოსტირებული და სწორად ნამკურნალები?***

– სხვადასხვა დაავადებას განსხვავებული გართულებები ახასიათებს. ასე მაგ., სიფილისი აზიანებს შინაგან ორგანოებსა და ნერვულ სისტემას (როგორც ცენტრალურს, ისე პერიფერიულს) და მთელი რიგი სერიოზული გართულება შეიძლება გამოიწვიოს. როგორც უკვე აღვნიშნე, ის შეიძლება ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე გადავიდეს. სხვა ინფექციები აზიანებენ მენჯის ღრუს ორგანოებს, იწვევენ მათ ანთებას და უშვილობას როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში. რაც შეეხება აივ ინფექცია შიდსა და ჰეპატიტს, აქ ბევრად უფრო რთულად არის საქმე და თუ ეს ინფექციები დროზე არ იქნა აღმოჩენილი და ნამკურნალები, მათ სიცოცხლისათვის საშიში გართულებები შეიძლება გამოიწვიონ.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ამ დაავადებების დიაგნოსტიკა დღეს არ წარმოადგენს პრობლემას. თუ შეიძლება, გვითხარით, როგორ და რა მეთოდებით ხდება აღნიშნული ინფექციების დიაგნოსტიკა?***

– სხვადასხვა ინფექცია განსხვავებულად დიაგნოსტირდება, მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავიდოდე, მინდა მკითხველს ვუთხრა, რომ ამ, ისევე როგორც ყველა სხვა ტიპის ინფექციას, აქვს ე.წ. ინკუბაციური პერიოდი, ანუ დრო ინფიცირებიდან მიკროორგანიზმის ისე გამრავლებამდე, რომ იგი აღმოჩენადი გახდეს. ხშირად ჩემთან მოდის პაციენტი, რომელიც მეუბნება, რომ წინა დღით ჰქონდა შემთხვევითი, დაუცველი სქესობრივი კონტაქტი და სურს გაიგოს „რამე ხომ არ გადაედო“, მაგრამ ინფექცია დიაგნოსტირებადია ინკუბაციური პერიოდის გავლის შემდეგ. ეს დრო სხვადასხვა შემთხვევაში განსვავებულია და მერყეობს ორიდან 28 დღემდე, ანუ, 4 კვირით. როგორც წესი, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დიდი უმეტესობა აღმოჩენადია. რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისები. ასე მაგალითად, პაპილომავირუსის ზოგიერთი ტიპის ინკუბაციური პერიოდი 10 წლამდეა, ხოლო სიფილისის – 20 წლამდე.

რაც შეეხება თავად დიაგნოსტიკას, ამისთვის ადამიანის სხვადასხვა ბიოლოგიური სითხე გამოიყენება: სისხლი, შარდი, გამონადენი სითხე, ან გამონაყარიდან აღებული სითხე. ძალიან მაღალი დიაგნოსტიკური ღირებულებით ხასიათდება ე.წ. PCR ტექნოლოგია, რომლითაც შესაძლებელია მოშარდულ სითხეში დაავადებათა დიდი უმეტესობის აღმოჩენა. ეს კვლევები არაერთ დიაგნოსტიკურ ცენტრშია ხელმისაწვდომი თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში და ფასიც არ არის დიდი. თუ კონკრეტულად რომელი კვლევაა საჭირო თქვენს შემთხვევაში, ამას თქვენი ექიმი განსაზღვრავს.

**რჩევა მკითხველს:** **თუ თქვენ დაგიდასტურდათ სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ სქესობრივი კონტაქტები, მათ შორის დაცულიც და დაიწყეთ მკურნალობა. გააფრთხილეთ ყველა თქვენი პარტნიორი, ვისთანაც დაუცველი კონტაქტი გქონდათ, რომ ჩაიტარონ შესაბამისი გამოკვლევები.**

***– აი, მივადექით მკურნალობის საკითხსაც. ბატონო არჩილ, ჩვენ გვახსოვს, რომ ახალგაზრდობაში ამ დაავადებების მკურნალობა ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა და უამრავი სხვადასხვა მედიკამენტის მიღებასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, შედეგებიც ხშირად არ იყო დამაკმაყოფილებელი. როგორ შეიცვალა სიტუაცია ამ მხრივ სადღეისოდ?***

**რჩევა მკითხველს:** **აცერით თქვენი ოჯახის წევრი ბიჭები პაპილომავირუსზე აქტიური სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე. ეს არამარტო ხელს შეუშლის ინფექციის გავრცელებას, არამედ დაიცავს მათ ისეთი გართულებებისგან, როგორიც ონკოლოგიური დაავადებებია.**

**– პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა პაციენტებს მთელი პარკი აბების დალევა და კვირაობით ნემსების კეთება სჭირდებოდათ! თანამედროვე მედიკამენტური საშუალებებით შესაძლებელი მკურნალობის ხანმოკლე კურსებით, ერთჯერადი დოზებით ან, ერთკვირიანი კურსით, ამ დაავადებათა უმეტესობის დამარცხება.**

უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი ამ ინფექციათაგანი განკურნებადია, ასე მაგალითად ქლამიდიოზი, გონორეა, სიფილისი და ტრიქომონიაზი. ისეთი ინფექციები კი, როგორიცაა: ჰერპესი, ჰეპატიტი B, შიდსი და პაპილომავირუსული ინფექციები, მართალია განუკურნებადია, მაგრამ არსებობს მათი მართვის საკმაოდ ეფექტიანი მედიკამენტური საშუალებები.

ცოტა უფრო დეტალურად მინდა შევჩერდე პაპილომავირუსზე. ეს ვირუსი იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს და ამ გართულების პრევენციისათვის აუცილებელია ვაქცინაცია ქალებში. ეს პროგრამა მოქმედებს საქართველოში უკვე 15 წელზე მეტია და იგი უფასოა 10-18 წლის გოგონების ასაკობრივ ჯგუფში. პაპილომავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2023 წლის ივლისიდან, საქართველოში დაიწყო პაპილომავირუსის ვაქცინაცია ბიჭებშიც. იგი წარმოებს 10-26 წლის ბიჭებსა და მამაკაცებში და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

***– ბატონო არჩილ, ტრადიციულად, ინტერვიუს ბოლოს გთხოვთ, დაგვიანონსოთ ჩვენი შემდეგი საუბრის თემა.***

– ვფიქრობ, გავაგრძელოთ საუბარი აღნიშნულ თემაზე და შემდეგში შევეხოთ საშარდე გზების ინფექციებს ქალებში, რაც უაღრესად აქტუალური თემაა ბევრისთვის და, მერწმუნეთ, მათ ცხოვრების სატანჯველად შეიძლება იქცეს.

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

**რჩევა მკითხველს:** **აუცილებლად ჩაიტარეთ პერიოდული პროფილაქტიკური კვლევები აღნიშნულ ინფექციებზე, თუ თქვენ ხართ აქტიურ, პოლიგამიურ სქესობრივ ურთიერთობაში განურჩევლად თქვენი სქესისა და კავშირების ფორმებისა.**



ასეთი უცნაური მეთოდებით მკურნალობდნენ ვენერიულ დაავადებებს შუა საუკუნეების ევროპაში

## ქართული ვაზი ათონის წმინდა მთაზე

**სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ, ათონის წმინდა მთაზე, ვატოპედის სამონასტრო კომპლექსთან არსებული მთავარანგელოზების სახელობის ტაძრის „ქართული კელიის“ ტერიტორიაზე, ქართულ დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობა ქართული ადგილობრივი ვაზის ჯიშის ნერგების დარგვის ღონისძიებაში მიიღო.**



კელიის ტერიტორიაზე ქართული ვაზის 30 ჯიშის 500-ზე მეტი ნამყენი ნერგი დაირგო. აღსანიშნავია, რომ ნერგების დარგვა 13 ნოემბერს, 100 000 ქართველი მოწამის ხსენების დღეს დაემთხვა. მონასტერს ვაზის ჯიშებთან ერთად ასევე ქართული ადგილობრივი ხორბლის 10 სახეობისა და ჯიშის სათესლე მასალა გადაეცა.

ქართული დელეგაციის ვიზიტს ორგანიზება საქართველოს ეთნოგენეტიკის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა **გიორგი ანდრიაძემ** და საქართველოს გენერალურმა კონსულმა ქ. თესალონიკში **გელა ჯაფარიძემ** გაუწია.

## ექვსი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში სიმსივნის განვითარებას

**კიბოს „ცოცხალი წამალი“ აღმოაჩინეს, რომლებიც გვიანდელი სტადიის მრავალ სხვადასხვა სიმსივნეს ანადგურებს**

**ახალი კვლევის თანახმად, რომელიც სიმსივნის კვლევის ამერიკულმა ასოციაციამ გამოაქვეყნა, ახალგაზრდებმა ცხოვრებისეულ 6 ფაქტორზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რომელიც სიმსივნის ეპიდემიის განვითარებას უწყობს ხელს. ინფორმაციას dailymail-ი ავრცელებს.**

კვლევის მიხედვით, ახალგაზრდებში სიმსივნის განვითარებას



**არაჯანსაღი დიეტა,**
**სიმსუქნე,**
**გარემოში არსებული ქიმიკატები,**
**ანტიბიოტიკები,**
**ალკოჰოლი და**
**უმოძრაო ცხოვრების წესი** უწყობს ხელს.

მეცნიერები ახალგაზრდებს ურჩევენ მოერიდონ **ანტიბიოტიკების** ხშირ მოხმარებას, **წითელი ხორცი ჭამონ არაუმეტეს 3-ჯერ კვირაში**, გამოიყენონ **კონტრაცეპტივები (პრეზერვატივი)** და მოერიდონ **სპირტიანი სასმელების** ხშირ მოხმარებას.

მკვლევრების ცნობით, სიმსივნის შემთხვევების 40%, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ 6 ფაქტორს უკავშირდება.




# დიდი ოცეულის პატარა შესაძლობლობები...

**ლიბერალური მსოფლიო წესრიგის დაისი გვიახლოვდება და სამყარო მრავალპოლუსიანი ხდება! აი, ასეთი საყოველთაო განწყობა იკრებს ძალას მსოფლიოში. ამის გამო, საერთაშორისო არენაზე, ქვეყნებს შორის გათიშულობა იგრძნობა. თუ რაოდენ გაყოფილია დღევანდელი სამყარო და რამდენად არაერთგვაროვანია ვითარება საერთაშორისო არენაზე, ამ დღეებში, დიდი ოცეულის სამიტზე კარგად გამოჩნდა. G-20 ანუ Great-20, ქართულად, დიდი ოცეული, მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნების საერთაშორისო ფორუმია. მთლიანობაში, დიდ ოცეულში შემავალი ქვეყნები მსოფლიო მოსახლეობის ორ მესამედს, ეკონომიკის 80 პროცენტსა და ვაჭრობის 75 პროცენტს მოიცავს.**

დიდი ოცეულის პირველი სამიტი 2008 წელს ქალაქ ვაშინგტონში ჩატარდა. წელს კი სამიტს რიო დე ჟანეირომ უმასპინძლა. უკრაინის ომისა, და ისრაელსა და პალესტინას შორის მძვინვარე სისხლისღვრის გამო, ბრაზილიის სამიტს ბევრი კრახს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ მასპინძლის დიპლომატიურმა მიდგომამ ფორუმი ჩაშლისგან იხსნა, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ფორუმის მონაწილე ბევრი ქვეყანა, სამიტის მასპინძლის, ბრაზილიის მიერ უკრაინისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხების განხილვისგან თავის შეკავების გამო, უკმაყოფილო დარჩა. დასავლეთი - უკრაინის, თურქეთი კი ახლო აღმოსავლეთის ომის მიჩქმალვამ გაანაწყენა.

ბრაზილიის აზრით, ამ კონფლიქტების გარდა, სხვა უამრავი საკითხი იყო განსახილველი. ცხადია, გლობალური სამხრეთის ერთ-ერთი ლიდერის, ბრაზილიის აზრი უმრავლესობამ გაიზიარა, რითაც დადასტურდა, რომ დასავლეთი საერთაშორისო არენაზე აღარ არის უდავო ლიდერი, ანუ დადგა დრო, როცა მომძლავრებული გლობალური სამხრეთი დასავლეთს თავის დღის წესრიგს კარნახობს. დასავლეთის ქვეყნებმა მაინც სცადეს უკრაინის საკითხის წინ წამოწევა, მაგრამ ბრაზილიის პრეზიდენტმა ლულა და სილვამ უკრაინაზე დისკუსიები შეაჩერა, რამაც ევროპელების აღშფოთება გამოიწვია.

დასავლეთის ლიდერებს არც სამიტის დასკვნითი დოკუმენტი მოეწონათ. კომუნიკე ფორუმის ბოლოს იწერება ხოლმე, მაგრამ ბრაზილიის ლიდერმა, უკრაინის თემაზე კამათის თავიდან აცილების მიზნით, დოკუმენტი ერთი დღით ადრე გამოსცა. დასავლეთის ლიდერებს არ მოეწონათ კომუნიკეს ნეიტრალური ტონი და ლექსიკა უკრაინის ომზე. გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერებმა ბრაზილიის მეთაურის ქმედება მწვავედ გააკრიტიკეს. საფრანგეთის პრეზიდენტმა დოკუმენტი არსებული ვითარების შეუსაბამოდ მიიჩნია. გერმანიის კანცლერმა კი აღნიშნა, რომ დიდი ოცეულის სამიტის კომუნიკე ხაზს არ უსვამს უკრაინის ომის დაწყებაში რუსეთის პასუხისმგებლობას. თუმცა, ევროპის ლიდერებმა, სამიტის კულუარებში, სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან მრავალი პირისპირ შეხვედრა გამართეს. ევროპის მასმედიის აზრით, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ორი შეხვედრა იყო: პირველი, შოლცისა და ში ძი პინის და, მეორე, ბრიტანეთისა და ჩინეთის ლიდერებს შორის. ორივე დასავლელი ლიდერი ცდილობდა ში ძინ პინისთვის დაყვავებას. ამ შეხვედრებმა გამოაჩინა, რაოდენ სერიოზულად აწუხებს ევროპას ჩინურ-ამერიკული დაპირისპირება.

ბრაზილიის ლიდერს თავისი გეგმით მიჰყავდა ფორუმი. მან ხაზი გაუსვა არსებული კონფლიქტების ტრაგიკულობას, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ არანაკლებ ტრაგიკული მდგომარეობაა დანარჩენ მსოფლიოში. მან, ცხადია, სიღარიბე და შიმშილი იგულისხმა.

მე ვესწრებოდი G20-ის ლიდერების პირველ შეხვედრას ვაშინგტონში და პირდაპირ გეტყვით, რომ 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, ვითარება მსოფლიოში გაუარესდა, განაცხადა ლულამ. მისი თქმით, მსოფლიოში, სამხედრო კონფლიქტების რაოდენობამ მოიმატა, მილიონობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, ლტოლვილები მომრავლდნენ და რეკორდულად გაიზარდა სოციალური უთანასწორობა. ლულას თქმით, ამ საერთო ტრაგედიის მთავარი სიმბოლოები შიმშილი და სიღარიბეა, რომელთა დაძლევისკენ, ლულამ კიდევ ერთხელ მოუწოდა ოცეულის წევრებს. სამიტზე, შიმშილისა და სიღარიბის დასაძლევად, გლობალური ალიანსის შექმნა გადაწყდა, რომელმაც სასურსათო უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. გარდა ამისა, აღიარეს გამოცდილების გაცვლისა და შესაბამისი ღონისძიებების კოორდინაციის საკითხის აუცილებლობა.

ბრაზილიის პრეზიდენტმა უმდიდრესი ადამიანების დაბეგვრის საკითხი დააყენა, რაც მწვავედ გააპროტესტა ლიბერტანიალური შეხედულების მქონე არგენტინის პრეზიდენტმა ჰავიერ მილეიმ. სიმბოლური აღმოჩნდა ლიდერების საერთო ფოტოს გადაღების ინციდენტი. პირველი დღის გადაღებას სამი ლიდერი, ბაიდენი, ტრიუდო და მელონი არ ესწრებოდნენ. გაუგებრობა მოხდა და ლიდერებმა გადაღების ადგილს ვერ მიაგნეს. ამიტომ, საერთო ფოტოს გადაღების გამეორება მეორე დღეს შედგა!..

# ძირს პატრიარქატი, გაუმარჯოს მეძავებს!

**ტრამპის გამარჯვებამ დასავლეთის ლიბერალები შოკში ჩააგდო. მარცხის გამო, განტევების ვაცის ძიებაში, მასმედიაში ლანძღვა-გინებით იოხებენ გულს. ლიბერალების ერთმა ნაწილმა საზოგადოებას ტრამპის მთავრობის მიმართ ბოიკოტისკენ მოუწოდა. ილონ მასკის სოცმედიასაც შეუტიეს. ბოიკოტი ძალას იკრებს. ბრიტანული გამოცემა Guardian და ესპანური გაზეთი La Vanguardia სოცპლატფორმა „იქსს“ (X)ტოვებს. ამერიკელი ლიბერალი პოლიტიკოსებიც სხვა სოცმედიაში გადაბარგდნენ. მედია-იქსის კონკურენტმა Bluesky-იმ სიხარულით განაცხადა, რომ არჩევნების მეორე დღესვე, მომხმარებელთა რაოდენობა 700 ათასით გაიზარდა და, უკვე, 16 მილიონს გადააჭარბა. იგივე მდგომარეობაა ევროპაშიც: ორი გერმანული საფეხბურთო კლუბი ბოიკოტს შეუერთდა და სოცპლატფორმა X დატოვა. მას შემდეგ, რაც ილონ მასკმა ტვიტერი იყიდა და სახელი გადაარქვა, ამ სოცმედიაში წამსვე გაჩნდა სიძულვილის ენა. პლატფორმა მემარჯვენე ექსტრემისტული გამოცემებისა და შეთქმულების თეორიების ავტორთა საყვარელი მედია გახდა, რომლითაც ტრანს-ფობიური და რასისტული ნარატივები ვრცელდება. ილონ მასკი თავის ქსელს, როგორც პოლიტიკურ იარაღს, თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს, ნათქვამია ორივე კლუბის ოფიციალურ განცხადებაში. ამერიკელმა ფემინისტებმა ბოიკოტის ახალი ტალღა ააგორეს, რომლის შესახებაც პირველი განცხადება ჰოლივუდის ცნობილმა ვარსკლავმა ვუპი გოლდბერგმა გააკეთა. მან ფემინისტებსა და, ზოგადად, ყველა ამერიკელ ქალს, ვისაც ტრამპის გამარჯვება გულზე მოხვდა, ურჩია, მამაკაცებს ინტიმურ ურთიერთობაზე უარი უთხრან, რადგან მიჩნეულია, რომ ტრამპს მამაკაცების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.**




ეს იდეა სულაც არ არის ახალი. დაახლოებით, ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში, ბერძენმა დრამატურგმა არისტოფანემ დაწერა კომედია სათაურით „ლისისტრატე“, რომელშიც, ქალები სექსუალური გაფიცვის გზით, ომს აჩერებენ სპარტასა და ათენს შორის. ჩვენს დროში, ეს იდეა სამხრეთ კორეელმა ფემინისტებმა ააღორძინეს: 2018 წელს დააარსეს მოძრაობა, სახელწოდებით, 4B, რომელიც ითარგმნება, როგორც 4 არა: არა სექსს მამაკაცთან, არა შვილის გაჩენას, არა მამაკაცის გაცნობას და არა გათხოვებას.

ვუპი გოლდბერგმა სწორედ რომ 4B-ს იდეა გაახმოვანა, რომელიც ბევრმა ფემინისტმა ქალმა აიტაცა. ამერიკული მასმედიის თქმით, 4B-ის ძიებათა რიცხვი გუგლში 450 პროცენტით გაიზარდა. სოცმედიებში, ზოგადად, და ტიკ-ტოკში, გაჩნდა ამერიკელ ქალთა ვიდეოები, რომლითაც ისინი ამ სექსუალურ ბოიკოტს უერთდებიან და ღონისძიებაში მონაწილეობისკენ სხვებსაც მოუწოდებენ. როგორც ამერიკის ერთ-ერთმა მედიუმმა განაცხადა, ტრამპის გამარჯვებით იმედგაცრუებული ამერიკელი ქალები მამაკაცებზე განრისხებით უმკლავდებიან თავიანთ იმედგაცრუებას: ძირს პატრიარქატი!



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# ტრანსგენდერ ჯარისკაცებს აშშ-ის ჯარიდან გააძევებენ?

**აშშ-ის არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი არმიიდან 15 000 ტრანსგენდერი ჯარისკაცის გათავისუფლებას გეგმავს, — ამის შესახებ ინფორმაციას „თაიმსი“ ავრცელებს.**

დიახ, დონალდ ტრამპი გეგმავს, პრეზიდენტობის პირველ დღეს ტრანსგენდერი ჯარისკაცებისთვის ჯარში მსახურების აკრძალვის შესახებ აღმასრულებელი ბრძანება გამოსცეს.

როგორც „თაიმსი“ წერს, ტრანსგენდერი ჯარისკაცები სამედიცინო წესით გათავისუფლდებიან არმიიდან. აშშ-ის თავდაცვის მდივნად შერჩეულმა პით ჰეგსეთმა ტრანსგენდერი ადამიანების სამხედრო სამსახურში ჩართვას „საზღვრების გადალახვა“ უწოდა და აღნიშნა, რომ ტრანსგენდერი სამხედრო სამსახურში გართულებებს და განსხვავებებს იწვევს.

შეგახსენებთ, ობამას ადმინისტრაციამ შეცვალა გრძელვადიანი პოლიტიკა და გამოაცხადა, რომ ჯარში ტრანსგენდერი ადამიანები ღიად იმსახურებდნენ...





# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „ვეისთ მენეჯმენთ ჯორჯიას“ მიერ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა-ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 9 დეკემბერი, 15:00 საათი,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, სამგორის რაიონის გამგეობის შენობა (მის: მოსკოვის გამზ. N14)

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 18 ნოემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**ქვეყნდება “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 19 ნოემბრის N 1-1/420 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის (KFW) დაფინანსებით, ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის N1-1/108 დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ გათვალსიწინებულ 400 კვ. "ახალციხე-თორთუმის" ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდეგში: 400 კვ. ეგხ "ახალციხე-თორთუმის“ მშენებლობის პროექტი).

პროექტის დანიშნულებაა საქართველოს ელექტროენერგეტიკული კავშირის გაძლიერება თურქეთის ენერგოსისტემასთან, ასევე ევროპის ერთიან სინქრონულ ზონასთან. პროექტი შექმნის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ქვეყნის მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისებისთვის. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

400 კვ. ეგხ. "ახალციხე-თორთუმის" მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარეხაში მდებარე აკაკი დემეტრაძის (პ/ნ: 03001014469) საკუთრებაში არსებული 3193 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 61.19.21.122) ნაწილი, კერძოდ, 425.00 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (425 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 400 კვ. ეგხ. "ახალციხე-თორთუმის" მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის N1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2024 წლის 19 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/420** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარეხაში მდებარე აკაკი დემეტრაძის (პ/ნ: 03001014469) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

- **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 61.19.21.122; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 3193კვ.მ.-ის ნაწილი - 425 კვ.მ.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**ქვეყნდება “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 19 ნოემბრის N 1-1/423 ბრძანების შესაბამისად**

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში: „სსე“) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით და მსოფლიო ბანკის (WB) დაფინანსებით, სამეგრელო-იმერეთის რეგიონში ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 მარტის N1-1/108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით“ გათვალსიწინებულ 500 კვ. ,,ჯვარი-წყალტუბოს“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (შემდეგში: „500 კვ ეგხ ,,ჯვარი-წყალტუბოს“ მშენებლობის პროექტი“).

პროექტის დანიშნულებაა სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში გადამცემი ქსელის გაძლიერება. ის უზრუნველყოფს იმერეთისა და ზეკარის არსებული ხაზების სარეზერვო მომსახურებას და ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ საქართველოსა და ახალციხე-ბორჩხას საექსპორტო ხაზს თურქეთში ენერგომომარაგების სტაბილურად მიწოდებას. ახალი ჯვარი-წყალტუბო ეგხ და წყალტუბოს ქვესადგური გაზრდის ელექტროენერგიის გადაცემის სიმძლავრეს დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს არსებული ქსელის საიმედოობას. ქ/ს ჯვარის, წყალტუბოსა და ზესტაფონის გავლით მოხდება ქსელში ხუდონჰესის, ნენსკრაჰესის, მესტიაჭალას, ტეხურის კასკადის, ალპანა ჰესის, ნამახვანის კასკადის, ცხენისწყლის კასკადის, მდინარე ხელედულაზე დაგეგმილი ჰესების, ონიჰესების კასკადის და სხვა, სულ დაახლოებით 3000 მგვტ ჰესების სიმძლავრის ტრანსპორტირება მოხმარების ცენტრებისკენ და თურქეთში, აზერბაიჯანში და სომხეთში საექსპორტოდ. ამრიგად, ახალი 500 კვ. ,,ჯვარი-წყალტუბოს“ არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის რეგიონის სტაბილურ ენერგომომარაგებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს რეგიონის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

500 კვ. ეგხ ,,ჯვარი-წყალტუბოს“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალბედისეულში მდებარე ირმა ფარცხალაძის (პ/ნ 01012028803) საკუთრებაში არსებული 100001 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 37.05.39.012) ნაწილი, კერძოდ, 256.00 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის (256 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მათი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 500 კვ. ეგხ ,,ჯვარი-წყალტუბოს“ მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მათი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის N1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2024 წლის 19 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/423** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალბედისეულში მდებარე ირმა ფარცხალაძის (პ/ნ 01012028803) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

- **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 37.05.39.012; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 100001კვ.მ.-ის ნაწილი - 256 კვ.მ.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „ჯეო ეკო 2024“-ის მიერ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 13 დეკემბერი, 12:00 საათი,** ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. საგვიჩიოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 18 ნოემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

◉ ტრიუმფი

# გენდერი ტატამზე



**ქართველ ძიუდოისტთა ტრადიციული ტრიუმფით აღინიშნა რიგაში გამართული 15-წლამდელთა ევროპის თასის გათამაშება, სადაც ჩვენი გუნდის მოხვეჭილი 13 მედლიდან 8-ის მფლობელები სუსტი სქესის წარმომადგენლები გახდნენ, მათ შორის 5-დან – 4 ოქროსი!**

**ოქრო** – სალომე მერკვილაძე (48), თინათინ გულბანი (52), ნენე საზიაშვილი (57), ლიკა შალამბერიძე (+70), ანდრია წურწუმია (42).

**ვერცხლი** – თათია გიგილაშვილი (44), მაია ღვალაძე (70), გიორგი ჯავახიშვილი (42), ანდრო პაპუნაშვილი (66).

**ბრინჯაო** – მარიამ გულიაშვილი (52), ქეთევან ხარაზიშვილი (57), ბექა ჭკადუა (42), ოთარ მიღრიჯანაშვილი (46).

◉ კორტზე

# დროინი მეფობენ...

**ვაჟთა ჩოგბურთში, ეტყობა, იტალიური ერა დაიწყო, რაც რეიტინგის ახალ ლიდერს იანიკ სინერს უკავშირდება.**

უკვე გაუწყეთ, რომ მან მშობლიურ ტურინში გამართული სეზონის შემაჯამებელი ტურნირი ერთი ამოსუნთქვით, სეტის წაუგებლად მოიგო, გასულ უქმეებზე კი დიდი წვლილი შეიტანა თანამემამულეთა მიერ დევისის თასის ზედიზედ მეორედ, ისტორიაში კი მესამედ დაუფლებაში (პირველად – 1976-ში).

ფინალში სკუადრა აძურამ სინერისა და **მატეო ბერეტინის** ძალისხმევით ნიდერლანდელები დაამარცხა – 2:0. სხვათა შორის, ამ უკანასკნელებმა სენსაციურად გამოთიშეს ასპარეზობიდან ფავორიტი ესპანელები და, რაც არანაკლებ აღსანიშნავია, დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ **რაფაელ ნადალს** კარიერა დაესრულებინა.




# საფეხბურთო მოზაიკა

**კრისტალბეთ ეროვნული ლიგა. 33-ე ტური. ბათუმი – იბერია 0:1, კოლხეთი – ტორპედო 3:1, დილა – დინამო 1:0, გაგრა – თელავი 2:0, სამგურალი – სამტრედია 1:0.**

**სატურნირო მდგომარეობა** ფინიშამდე 3 ტურით ადრე: იბერია – 70, ტორპედო – 64, დილა – 62, ბათუმი 49, სამგურალი, დინამო – 39-39, გაგრა – 35, კოლხეთი – 34, თელავი – 30, სამტრედია – 27 ქულა.

**ბომბარდირი:** იონსენი (ტორპედო) – 21 გოლი.

**დღეს ითამაშებენ:** იბერია – კოლხეთი, ტორპედო – გაგრა, სამტრედია – დილა, დინამო – ბათუმი, თელავი – სამგურალი. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, რომ იბერიამ დღესვე ვადამდე მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული.

⚽ ⚽ ⚽

**უკვე** გაუწყეთ, რომ ერთა ლიგის „ბ“ დივიზიონში დასარჩენ პლეი-ოფში საქართველოს ეროვნული ნაკრები 20 და 23 მარტს სომხეთის გუნდს შეხვდება. ამჯერად გთავაზობთ წილისყრის სრულ შედეგებს.

**„ა“ ლიგის მეოთხედფინალი:** ნიდერლანდები – ესპანეთი, ხორვატეთი – საფრანგეთი, დანია – პორტუგალია, იტალია – გერმანია. დავძენთ, რომ ნახევარფინალში დაწყვილდებიან პირველ-მეორე და მეოთხე-მესამე წყვილებში გამარჯვებულნი.




**„ა“ – „ბ“ პლეი-ოფი:** საბერძნეთი – შოტლანდია, ავსტრია – სერბეთი, თურქეთი – უნგრეთი, უკრაინა – ბელგია.

**„ბ“ – „გ“ პლეი-ოფი:** კოსოვო – ისლანდია, ბულგარეთი – ირლანდია, სლოვაკეთი – სლოვენია.

**„გ“ – „დ“ პლეი-ოფი:** ლატვია – ლუქსემბურგი, მალტა – გიბრალტარი.

⚽ ⚽ ⚽

**ქართველ** გულშემატკივართა არანაკლებ ინტერესს იწვევს 21-წლამდელთა ევრო – 2025-ის ფინალური ტურნირი, რომელსაც გაისად 11-დან 28 ივნისის ჩათვლით სლოვაკეთი უმასპინძლებს და იქ ზედიზედ მეორედ ითამაშებენ **რამაზ სვანაძის** გაწვრთნილი ახალგაზრდა ჯვაროსნები.

მომავალი ფორუმის წილისყრა 3 დეკემბერს თბილისის დროით 21 საათზე ბრატისლავის რედუტას საკონცერტო დარბაზშია დანიშნული, მისი მონაწილენი კი კალათების მიხედვით ასე გადანაწილდნენ (რეიტინგის შესაბამისად):

**პირველი კალათა** – ესპანეთი, ინგლისი, პორტუგალია, ნიდერლანდები.

**მეორე კალათა** – გერმანია, საფრანგეთი, უკრაინა, იტალია.

**მესამე კალათა** – დანია, რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხეთი.

**მეოთხე კალათა** – საქართველო, სლოვენია, ფინეთი, სლოვაკეთი.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ თითოეული ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე 2-2 საუკეთესო გუნდი გავა.

⚽ ⚽ ⚽

**„სრ“** სპორტის რედაქცია და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან ვეტერანი ფეხბურთელის

**მალხაზ მახარაძის**

გარდაცვალებას.

# „ჩვენ რუსთაველები“

**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღში 17 ნოემბერს გაიმართა დედოფლისწყაროს მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის საპატიო წევრის, ჩვენი თანამემამულის მარინე ცხვედიაშვილის (რუსთავის საპატიო მოქალაქის, ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორის, დოქტორის, აკადემიკოსის) 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.**

ერთი შეხედვით ამ ასაკში შემოქმედებითი ქარიშხლები ჩავლილია. საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენის ეტაპი დასრულებულია და საზოგადოებაში სახელიც და ადგილიც დამკვიდრებული. თითქოს მეტი რა უნდა ადამიანს?! წლების განმავლობაში იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექტორად! ბოლო ოცი წელი არის საქართველოს მწერალთა კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პრემიებითა და ჯილდოებით დახუნძლული, დღესაც მისი თითოეული ახალი ლექსი აღაფრთოვანებს მკითხველს, ამიტომაც არის მიმზიდველი მისი პროფესია, ყველაფერთან ერთად იგი სიკეთით სავსე, თავმდაბალი და უშურველი პიროვნებაა – ქართული ტრადიციული დიდი ოჯახის თავკაცის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ცნობილი მხატვრის **ჯემალ კუხალაშვილის** მეუღლეა.


მარინე ცხვედიაშვილი

საიუბილეო საღამოს ორგანიზატორი გახლდათ დედოფლისწყაროს მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **ვანო ნატროშვილი,** თანავმჯდომარე – **ნანა ჭიჭინაძე.**

წიგნი „ჩვენ რუსთაველები“ ვრცლად მიმოიხილა იუბილარმა. დამსწრე საზოგადოება რომელთა უმრავლესობას მწიგნობართა ასოციაციის წევრები და ოპერის წამყვანი სოლისტები წარმოადგენდნენ, სულგანაბული უსმენდნენ მარინე ცხვედიაშვილს, რომელმაც თავისი შესანიშნავი ნაშრომით დიდი წვლილი შეიტანა რუსთაველი მწერლების შემოქმედების წარმოჩენის საქმეში. წიგნი გაფორმებულია ცნობილი მხატვრის ჯემალ კუხალაშვილის ნახატებით.




საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ოფის-მენეჯერი **თინა გურგენიძე** და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე **მაყვალა გონაშვილი,** რომლის თხოვნით იუბილარმა წაიკითხა თავისი ლექსები.

საიუბილეო საღამო დასრულდა ოპერის წამყვანი სოლისტის, ბრწყინვალე სოპრანოს **მაყვალა ასპანიძის** ლელას არიით რევაზ ლაღიძის ოპერიდან „ლელა“.

რუსთავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 28 ნოემბერს 16 საათზე გაიმართება მარინე ცხვედიაშვილის და ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედებითი საღამო. დასწრება თავისუფალია.

**მარიკა პოპიაშვილი**

# ემიგრანტთა თეატრმა „ათინათი“ გრანპრი მოიპოვა!

**ლიეტუვას ქალაქ კაუნასში სამოყვარულო თეატრების მეცამეტე საერთაშორისო ფესტივალზე – „მასკარადას“ – ნიდერლანდების სამეფოში მოქმედი, ქართველი ემიგრანტების თეატრი „ათინათის“ სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ გრანპრის მფლობელი გახდა.**

თეატრის წარმომადგენლების ინფორმაციით, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ჯილდო ამავე დასის მსახიობ ნინო რუხაძეს გადაეცა.

თეატრ „ათინათის“ ხელმძღვანელის ნათია ახვლედიანის განცხადებით, წლევანდელ ფესტივალზე ნიდერლანდებში მოქმედი ქართული დასის გარდა, სპექტაკლები ლიეტუველმა, პოლონელმა და შვედმა თეატრალურმა დასებმა წარმოადგინეს.

**„უზომოდ გახარებულები და ბედნიერები ვართ ამ წარმატებით. სპექტაკლ „დარისპანის გასაჭირის“ დამდგმელი რეჟისორი საქართველოდან მოწვეული ირინე ჩხეიძეა. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ასე ღირსეულად გვასახელა ამ ფესტივალზე. სული და გული ჩავდეთ, მოვინდომეთ და ღირსეულად წარმოვაჩინეთ ქართველი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის ამ ნაწარმოების ინსცენირება. ვცდილობთ პოპულარიზაცია გავუწიოთ ქართულ კულტურას და ხელოვნებას უცხოეთში. ასეთი წარმატებები ჩვენთვის სტიმულია, უფრო მეტი ვაკეთოთ. შარშან, ამავე ფესტივალზე ჩვენ წარდგენილი გვქონდა “სამანიშვილის დედინაცვალი“. აქაც მივიღეთ მაყურებლის სიმპათიის პრიზი და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ერთდროულად ორი მსახიობი დავით მორჩაძე და დავით კლდიაშვილი დაჯილდოვდნენ. წელს გრანპრის მფლობელები გავხდით, ხოლო ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ნინო რუხაძე დასახელდა“,** – განაცხადა ნათია ახვლედიანმა.

„ათინათის დასში 24 მოყვარული მსახიობი ირიცხება. მალე დასი მაყურებლის წინაშე გურამ ოდიშარიას რომანის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს „სათვალიანი ბომბი“ წარადგენს. სპექტაკლის რეჟისორი ბადრი წერედიანია, რომელიც თეატრ „ათინათის“ მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია.



# კეზერაშვილის და ადეიშვილის სასჯელი ძალაში დარჩა!

**7 ნოემბრის საქმეზე ბრალდებულების — დავით კეზერაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიმართ დაუსწრებლად შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა და ძალაში დარჩა.**



**აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლეთა კოლეგიამ მიიღო.**

**სახელმწიფო ბრალმდებლების განმარტებით, საქმეზე ახალი გარემოებები გამოკვეთილი არ არის, რაც აღკვეთის შეცვლის საფუძველი იქნებოდა, შესაბამისად, პატიმრობა ძალაში უნდა დარჩენილიყო.**

დაცვის მხარე ამ პოზიციას არ დაეთანხმა. ადვოკატ ბექა ბასილაიას თქმით, ყველა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკური მოტივაციითაა დაწყებული, რის გამოც აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა უნდა გაუქმებულიყო.

მოსამართლეთა კოლეგიის თავმჯდომარის ნინო ელიეშვილის განმარტებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ დღევანდელი მოცემულობით ის ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები არ შეცვლილა, რაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას საფუძვლად დაედო.

დღევანდელ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის ერთი მოწმე, იმჟამინდელი ხელისუფლების დროს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძე დაიკითხა. ასევე, საზოგადოებას მიმართა ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

**ცნობისთვის:** სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, რამაც ფიზიკური, ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულ საქმეში სააკაშვილთან ერთად ბრალდებულები არიან ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და გიგი უგულავა.



# ნიკა გვარამია:

## მარტო პარლამენტის წინ დგომა, ცხელი სასმლის დარიგება და ლობიანების დაჭრა და ხალხისთვის გადაცემა არ არის საკმარისი!

**რა იქნება ოპოზიციის შემდეგი ნაბიჯი? — ერთიანი სტრატეგია რომ არ არსებობს, ამას ოპოზიციონერი ლიდერები ღიად აცხადებენ, მათ შორის უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ აქციებზე, რომელიც უკვე გაიმართა.**

**მაგალითად ნიკა გვარამია, რომელიც პარლამენტის პირველი სხდომის და დაგეგმილი აქციის გამართვამდე სტრასბურგში გაემგზავრა, აცხადებს, რომ პარლამენტის წინ დგომა არ არის საკმარისი.**



„აჯანყებას, არალეგიტიმური რეჟიმის შეცვლას პოლიტიკოსები არ ახდენენ მეგობრებო, პოლიტიკოსები მონაწილეობენ ამაში. ამას აკეთებს პირველ რიგში ხალხი, მათ შორის საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას, მათ შორის პოლიტიკოსებისთვის რაღაცა შესაძლებლობების მიცემით, მაგრამ უნდა ჩამოვყალიბდეთ. ერთ ნაწილში როდესაც ჩვენ გვინდა, რომ ვთქვათ, რომ კოალიცია გვინდა და ბელადი არ გვინდა, ლიდერი არ გვინდა ერთი და ა.შ., ვამბობთ ამას. მეორე შემთხვევაში, როცა უკვე სხვა განწყობაზე ვართ, ვამბობთ, რომ ბელადი გვჭირდება და ერთი ლიდერი, რომელიც ყველაფერს შეცვლის.

უნდა ჩამოვყალიბდეთ — რა გვჭირდება. მარტო პარლამენტის წინ დგომა, ცხელი სასმლის დარიგება და ლობიანების დაჭრა და ხალხისთვის გადაცემა არ არის საკმარისი!.."

**„ჭკვიანი ბიჭი ხარ შენ, ყუფარია მამაძაღლო"!**

**გოდიში, ყუფარია კი არა, გვარამია მამაძაღლო, ამიტომ გაძვერი ევროპისკენ, რომ იქ „გაგანათლონ" თუ რა გჭირდებათ ხალხის ასაბუნდებლად?!**

# 2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამებიდან ამოიღეს ქართული ლიტერატურის შედევრები!

**„ბედნიერი ერი"**, „ბახტრიონი" და კიდევ სხვა ნაწარმოებები ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამის ჩამონათვალში აღარ არის.

2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამები ცნობილია. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამები საგნების მიხედვით გამოაქვეყნა.

როგორც ირკვევა, ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამა შარშანდელ პროგრამასთან შედარებით შემცირებულია.

პროგრამაში აღარ არის – „ბედნიერი ერი", „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი", „ბახტრიონი", დ. გურამიშვილის შემოქმედება, „ყვარყვარე თუთაბერი", პაოლო იაშვილის „პოეზია", აკაკი წერეთლის „აღმართ-აღმართ", „სულიკო" და სხვა.

აღნიშნულ ცვლილებას მოქალაქეების ნაწილის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა!!!

# სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიმდებარედ გზა გაფართოვდა და საყრდენი კედელი მოეწყო

**ბაგების დასახლებაში, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმდებარე ტერიტორიაზე, გზის გაფართოებისა და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.**

დასრულებულ პროექტს გუშინ დედაქალაქის მერი კახა კალაძე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან და მერის მოადგილე ირაკლი ხენდელიანთან ერთად გაეცნო.

„სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან არსებული ჭავჭავაძის ქუჩა სრულად რეაბილიტირდა. პროექტის ფარგლებში, გზის სავალი ნაწილი 4 მეტრით გავაგანიერეთ, მოეწყო დამჭერი კედელი, გაკეთდა ტროტუარი, რომელიც მანამდე არ არსებობდა. საკმაოდ დატვირთული ქუჩაა და პრობლემა იყო მანქანების პარკირება, ასევე, ზემოთ არის სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, საცხოვრებელი კორპუსები და შესაბამისად, პრობლემას წარმოადგენდა გადაადგილება, განხორციელებული პროექტის შედეგად კი მოქალაქეებს თავისუფლად მიმოსვლის შესაძლებლობა მიეცემათ. გარდა ამისა, ელექტროსადენები მიწის ქვეშ ჩავიტანეთ, დავამონტაჟეთ განათებების ქსელი და მოეწყო სანიაღვრე სისტემა", — განაცხადა კახა კალაძემ.

პროექტს ასევე გაეცნენ მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი აბუთიძე და რაიონის გამგებელი დავით კვინიკაძე.

აღნიშნული სამუშაოები დედაქალაქის ბიუჯეტიდან 3 300 000 ლარით დაფინანსდა.

ინფორმაციას თბილისის მერიის პრესსამსახური ავრცელებს.

კრიმინალი

# ბოლნისში რამდენიმე ადამიანი დაჭრეს

**გავრცელებული ინფორმაციით, დაპირისპირება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ დალარსა და დარვაზში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ქორწილში მოხდა.**




დაჭრილია 8 ადამიანი. დაჭრილებიდან ორის მდგომარეობა მძიმეა, ერთი კი, რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. დანარჩენებს შედარებით მსუბუქი დაზიანებები აქვთ.

შსს-მ ფაქტზე ორი ადამიანი დააკავა. გამოძიება, 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

# თურქეთში მამაკაცმა საკუთარი ოჯახის 7 წევრი მოკლა – მათ შორის, 10 წლის ვაჟი!

**ქალაქ სტამბოლში მამაკაცმა ოჯახის 7 წევრი მოკლა, ერთი კი დაჭრა. 33 წლის ბახთიარ ალადაღმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლა საკუთარი 10 წლის ვაჟი, მეუღლე, დედა, მამა, ბიძაშვილი, სიდედრი და მეუღლის ძმა. დამნაშავის და მძიმედ არის დაჭრილი. მოგვიანებით მამაკაცმა თავი იმავე იარაღით მოიკლა.**



სამართალდამცველებმა ალადაღის მეუღლე, მისი 10 წლის შვილი და სიდედრი, რომლებიც დაკარგულად ითვლებოდნენ, ბუიუქჩექმეჯეს ტბასთან, გარდაცვლილები იპოვეს.

შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია დანაშაულის ჩადენის იარაღი და 9 ტყვია. პოლიციის ცნობით, მამაკაცი ნარკოტიკებზე იყო დამოკიდებული და ოჯახის წევრებთან ხშირი კონფლიქტი ჰქონდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ტრაგედიის მიზეზი ეჭვიანობის ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი გახდა. არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ მამაკაცს მკვლელობები წინასწარ ჰქონდა განზრახული და პნევმატური იარაღით მიზანში სროლაში ვარჯიშობდა.

# პოლიტიკური კორუფციის სიმბოლო

**ილჰამ ალიევი:**
**ევროპარლამენტი და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა პოლიტიკური კორუფციის სიმბოლოდ იქცა, რას უნდა ველოდოთ მათგან, როცა ბორელი ევროპას ბაღს უწოდებს, დანარჩენ მსოფლიოს კი — ჯუნგლებს, თუ ჯუნგლები ვართ, ჩვენგან თავი შორს დაიჭირეთ და ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეებში**





**პრეზიდენტ მაკრონის რეჟიმმა, მიმდინარე წელს ახალ კალედონიაში კანაკების ლეგიტიმური პროტესტის დროს მოკლა 13 და დაჭრა 169 ადამიანი. მარტინიკაში პროტესტის დროს 1700 ადამიანი დააკავეს, გვადელუპაში ასევე წელს 38 ადამიანი დააკავეს. ყოველივე ამის შემდეგ, საფრანგეთი არ დაგმო არც ევროკომისიამ, არც ევროპარლამენტმა და არც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, — ამის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ბაქოში, გაეროს კლიმატის ცვლილების 29-ე კონფერენციაზე (COP29) სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

ალიევმა პოლიტიკური ფარისევლობა უწოდა ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს ამ ქმედებას და აღნიშნა, რომ ორივე ინსტიტუტი პოლიტიკური კორუფციის სიმბოლოდ იქცა. მისივე თქმით, სხვაგვარი მოლოდინი ევროპიდან არ აქვს, ვინაიდან, ჯოზეფ ბორელმა ევროპის გარდა, დანარჩენი სამყარო ჯუნგლებად მოიხსენია.

**„ეს არის პოლიტიკური ფარისევლობა. ევროპარლამენტი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა - ეს ორი ინსტიტუტი, რომელიც პოლიტიკური კორუფციის სიმბოლოდ იქცა, უდანაშაულო ადამიანების მკვლელობისთვის პასუხისმგებლობას იზიარებს პრეზიდენტ მაკრონის მთავრობასთან ერთად. საფრანგეთის ყველა პოლიტიკური პატიმარი სასწრაფოდ უნდა განთავისუფლდეს. სხვას რას უნდა ველოდოთ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისგან, თუ ევროპელი დიპლომატი ჯოზეფ ბორელი ევროპას ბაღს უწოდებს, დანარჩენ მსოფლიოს კი ჯუნგლებს. თუ ჩვენ ჯუნგლები ვართ, ჩვენგან თავი შორს დაიჭირეთ და ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეებში.“** — დასძინა ილჰამ ალიევმა.

# ანთიმოზ ივერიელის რუმინეთშიც დიდი აურზაურია!

**30 პრო-ლგბტ არასამთავრობო ორგანიზაციამ რუმინეთის პარლამენტის პროევროკავშირის პარტიებს მიმართა, რათა მათ ბოიკოტი გამოუცხადონ კალინ ჯორჯესკუსა და ნაციონალისტურ პარტიებს**

**მათი თქმით, კალინ ჯორჯესკუს ხელისუფლებაში მოსვლა, რუმინეთში „ლგბტქ მოძრაობისა და ღირებულებების სიკვდილს“ ნიშნავს.**

„რუმინეთში ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები საფრთხის ქვეშაა. დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე! ზრდას ხელს უწყობს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ, რუსული გავლენის ზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოპულიზმისა და ექსტრემიზმის ზრდა პოლიტიკურ გარემოში, პოლიტიკური კლასისადმი ნდობის ნაკლებობა და ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ზრდის პიროვნულ დაუცველობას. ქალები, მოზარდები და ახალგაზრდები, LGBTQ ადამიანები, აივ-ინფიცირებული ადამიანები და მათთან ერთად მთელი საზოგადოება გაურკვევლობას და დაუცველობას აწყდებიან“!..



კალინ ჯორჯესკუ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7428; ევრო - 2.8772;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4499;**
**100 რუბლი - 2.6387; თურქული ლირა - 0.0793;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6127;**
**1000 სომხური დრამი - 7.0283.**






# შარლ ბოდლერის 100 ლექსი და ლელა გაბურთან შეხვედრა

**28 ნოემბერს, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკაში, მედიათეკა და გამომცემლობა „მერიდიანი“ ლელა გაბურთან შეხვედრას უმასპინძლებს.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, პოეტი და მთარგმნელი ლელა გაბური წარმოადგენს შარლ ბოდლერის 100 ლექსის საკუთარ თარგმანს ქართულ ენაზე, რომელიც სულ ახლახან „მერიადიანმა“ გამოსცა.

შეხვედრა ჩატარდება ქართულ ენაზე და მას საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა ხუთშაბათს, 28 ნოემბერს 18სთ-ზე უმასპინძლებს.

პოეტი, მწერალი, 1998 წლის ლიტერატურული პრემიის და ანა კალანდაძის პრემიის ლაურეატი ლელა გაბური რელიგიის ისტორიის და ტრადიციული მედიცინის საკითხების შემსწავლელი რამდენიმე ნაშრომის ავტორია. 2016 წელს ფრანგულ ენაზე გამოიცა მისი პოეტური კრებული „აი, იმ გზამდი“ („Voilà, jusqu'à ce chemin...“), რომლის პრეზენტაცია ქალაქ ნიცაში გაიმართა. კრებული სალომე ორდანიანცმა თარგმნა, ხოლო რედაქტირება გიორგი ეკიზაშვილს ეკუთვნის.

ლელა გაბურის ნაშრომები თარგმნილია რუსულ და ფრანგულ ენებზე.

**თბილისიდან თავის მშობლიურ კუთხეში — ხევსურეთში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, ლელა გაბურმა საზოგადოება „ხევსური ქალები ჯანსაღი მომავლისათვის» დააარსა, რომლის ფარგლებშიც მან ხევსური ახალგაზრდებისთვის არაერთი პროექტი განახორციელა.**

# ანასტასია იზორია იუნესკოს რჩეულია



**პირველად საქართველოს ისტორიაში – ანასტასია იზორია და მისი ნამუშევარი იუნესკოს საერთაშორისო პროექტ „THE PLANET OF ART 2024“ გამარჯვებული გახდა. საქართველოდან პირველად გაიმარჯვა ორმა ნამუშევარმა. ფინალისტებისა და გამარჯვებულების ნამუშვრების გამოფენა ყაზახეთში ჩატარდა და მასში მონაწილეობა 34-მა ქვეყანამ მიიღო.**

UNESCO-სა და საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით გამარჯვებული 2 მოსწავლე 4 დღით მიიწვიეს ყაზახეთში, სადაც ჩაუტარდათ საინტერესო მასტერკლასები და ექსკურსიები. გამარჯვებულებს დიპლომები და კონკურსის ფინალისტების ნამუშევრების ალბომები გადაეცათ. 83 გამარჯვებული მონაწილის ნამუშევრებიდან შერჩეული 40 საუკეთესო ნამუშევარი, მათ შორის ანასტასიას ნამუშევარი, 12 ნოემბერს პარიზში გამოიფინა.

პროექტი ნიჭიერ ახალგაზრდა ხელოვანებს თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაში ეხმარება.

# გუდაური ევროპის საუკეთესო კურორტების ხუთეულშია

**გავლენიანი სამოგზაურო პლატფორმა Tripadvisor მომხმარებელს საქართველოში მოგზაურობას და გუდაურში სრიალს ურჩევს.**

„ევროპის 5 შეუფასებელი სამთო კურორტი, რომელსაც ამ ზამთარს უნდა ეწვიოთ“ – სტატიაში საქართველოსთან ერთად რუმინეთის, ბულგარეთის, ესპანეთისა და ანდორას ზამთრის კურორტები მოხვდნენ.

სტატიის ავტორმა, ცნობილმა მწერალმა და ბლოგერმა **იოლანდა ევანსმა** საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურა.

„გუდაური თბილისიდან სულ რაღაც 2 საათის სავალზეა, გუდაური ბიუჯეტური კურორტია, თუ გამოცდილი მოთხილამურე ხართ, არ გამოტოვოთ ღამის სრიალი. პარაპლანი უმაღლესი სათავგადასავლო ტურია, დიახ, აქ ზამთარშიც შეიძლება გაფრენა. აუცილებლად დაიტოვეთ დრო თბილისისთვის, ან სრიალამდე, ან სრიალის შემდეგ და ეწვიეთ ძველ ქალაქს“, – წერს იოლანდა ევანსი.

იოლანდა ევანსი აღწერს გუდაურის კვების ობიექტებს, მკითხველს ურჩევს, დააგემოვნოს ხაჭაპური, ჯიპ ტურით მოიარონ გერგეტის სამება, ანანურის ციხე და სხვა ისტორიული ადგილები.




საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 29 ნოემბერს**